პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 20 (30) პარასკევი, 9 ივნისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერშია

— ქართული ლიტერატურის და ხელოვნების საღამოები მოსკოვში.
— **ვანო წულუკიძე**—მარადი თანამგზავრი.
— **ალექსანდრე პუშკინი** — ძეგლი, ა. პ. კერნისადმი (ლექსები).
— **ალექსანდრე საჯაია** — შობლიური სიმღერა (ლექსი).
— **ერ. ასტვაცატუროვი**—ი. გრიშაშვილის პოეზია.
— **ლევან გოთუა** — წაგებული სანაძლეო.
— **იასამანი** — სიმონ ჩიქოვანი უკრაინულ ენაზე.
— **ლადო გუდიაშვილი** — შეხვედრა ფიროსმანთან.
— **ტრიფონ რუხაძე** — პოეტის დაცვის იდეა.
— **თედო სახოკია** — ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

ნახატი ო. ა. კიპრენსკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი შეხვედრები

(„იზვესტიას“ კორესპონდენტის საუბარი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ჩიქოვანთან)

მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში, მწერალთა კლუბსა, აქტიორის სახლსა, მუშათა და ოფიცერთა კლუბებში გაიმართა ქართული ლიტერატურის ათი საღამო. ამ საღამოებმა დიდძალი საზოგადოება ნიზიდეს. ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის საზოგადოებრიობას გააცნეს სამამულო ომის პერიოდში შექმნილი თავიანთი ნაწარმოებები, მოუთხრეს მას, თუ როგორ იბრძვიან ისინი მხატვრული სიტყვით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საღამოები გარდაიქცენ იმ გულითადი მეგობრობის დემონსტრაციად, რომლითაც დიდიხანია ერთმანეთთან არიან დაკავშირებული რუსი და ქართველი მწერლები.

—ჩვენ ღრმად მადლობელი ვართ იმ გულთბილი მიღების გამო, რომლითაც მოსკოვი შეგვხვდა, — სთქვა კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა.

—ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო — გვეხილა, რომ ჩვენი ნაწარმოებები რუსი ადამიანების გულის სიღრმემდე მიდის, ღრმათ ეხება და აღელვებს მათ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს პოეტებს, რომლებიც სიყვარულით და იშვიათი ოსტატობით თარგმნიდნენ და თარგმნიან ქართულ ლექსებს. საღამოებზე გამოდიოდნენ ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ვ. დერჟავინი, ა. ადალისი, ს. შერვინსკი, ს. სპასკი და სხვა ამხანაგები, რომლებიც კითხულობდნენ ქართველი პოეტების რუსულ ენაზე თარგმნილ ლექსებს, რაც დიდათ უწყობდა ხელს ჩვენი საღამოების წარმატებას. განსაკუთრებით მადლობით მიხდა აღვნიშნო ქართული ლექსების მაღალმხატვრული წაკითხვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. კაჩალოვის მიერ.

ქართული საბჭოთა პოეზია პატრიოტული იდეების გამომხატველია, ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი ტრადიციების მიხედვით ჩვენი მწერლები და პოეტები სამშობლოს სიყვარულის, მისთვის თავდადებისა და თავგანწირვის შქადაგებელნი არიან. ისინი მუდამ ხელმძღვანელობენ შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების „ვეფხის ტყაოსნის“ სიტყვებით.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

და მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენ, მწერლებს ვალი ჯერ გადაუხდელი გვაქვს ქართველი მხედრების წინაშე, რომელნიც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის შვილებთან ერთად, თავგანწირვით იბრძვიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. 23 მაისს შესდგა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სხდომა. ამ სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა ტიხონოვმა, სკოსირევმა, პოლიკარპოვმა, ანტონოვსკაიამ და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს ქართული ლიტერატურის შემოქმედებითი წარმატება სამამულო ომის პერიოდში, ამავე დროს უსაყვედურეს ჩვენს ჟროზაიკოსებს, რომ ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ზურგის ადამიანთა გმირულ საქმეებს და მეტწილად ისტორიულ თემებზე სწერენ. ქართველმა მწერლებმა ყურადღებით უნდა მოისმინონ ეს მოთხოვნა და დაძაბონ მთელი თავისი შესაძლებლობა ისეთ სრულფასოვან ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც წარმოგვისახავენ შრომის გმირებს, წარმოგვისახავენ იმ ადამიანებს, რომელნიც სჭედენ იარაღს ფრონტისათვის.

დასასრულ ს. ჩიქოვანმა აღნიშნა: მიღებულია ზომები იმისათვის, რომ საბჭოთა მკითხველი **უფრო** ვრცლად და ღრმად გაეცნოს **ქართულ მხატვრულ** ნაწარმოებებს. **1944 წელს** გამომცემლობანი „გოსლიტიზდატი“ და „სოვეტსკი პისატელ“-ი გაითვალისწინებენ გ. ტაბიძის, ა. მაშაშვილის, გრ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნებს, შ. დადიანის, კ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას და სხვების რომანებსა და მოთხრობებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიწვევით, მოსკოვიდან თბილისს გაემგზავრება ჯგუფი რუსი პოეტებისა იმისათვის, რომ თარგმნონ საქართველოს პოეტების ნაწარმოებები.

ქართული დიფერაჟურისა და ხელოვნების საღამოები მოსკოვში

29 მაისს საკავშირო რადიო-კომიტეტის სტუდიაში მოაწყო გადაცემა, მიძღვნილი პოეტ ალიო მაშაშვილის შემოქმედებისადმი. პოეტმა წაიკითხა თავისი ლექსები „ყაზბეგი“ და „ციური“. ა. მაშაშვილის რუსულ ენაზე თარგმნილი ლექსების კითხვით გამოვიდა დამსახურებული მსახიობი ცარევი და სხვ.

28 მაისს ხელოვნების ცენტრალურ სახლში შესდგა ქართული თეატრალური ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი საღამო. მრავალფეროვანი მუსიკალური პროგრამის შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ე. სოხაძემ, პ. ამირანაშვილმა, დ. ანდღულაძემ, ნ. ცომაიამ, სოლისტმა გ. გოგიჩაიმ. ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და თ. ჭავჭავაძემ. დიდი წარმატებით წაიკითხა ვ. ანჯაფარიძემ ნაწყვეტები გრ. აბაშიძის პოემა „ძლევის ქედიდან“, თ. ჭავჭავაძემ—ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის და ი. მოსაშვილის ლექსები.

საკონცერტო განყოფილების დამთავრების შემდეგ შესდგა ქართული ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი საუბარი მოსკოვის ხელოვნების მუშაკებთან. თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს გულთბილად მიესალმა ამხ. ნოვიცკი. ვ. ანჯაფარიძემ, პ. ხუჭუამ და ვ. გოკიელმა საპასუხო სიტყვებში მადლობა გადაუხადეს მოსკოვის ხელოვნების მუშაკებს გულთბილი მიღებისთვის.

29 მაისს მოსკოვში კინოს სახლში შესდგა ქართული ლიტერატურის საღამო, რომელსაც კინემატოგრაფიის მრავალი მუშაკი დაესწრო. დარბაზი მორთული იყო მისასალმებელი ლოზუნგებით. ქართველ მწერლებს მიესალმა ამხ. დოროშკოი. ქართველ მწერალთა სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დავით შენგელაიამ. პოეტებმა გრიგოლ აბაშიძემ და იოსებ გრიშაშვილმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებნი. რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველ მწერალთა ლექსები წაიკითხეს ანანიაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა თ. ჭავჭავაძემ და ვ. ანჯაფარიძემ. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ე. სოხაძემ, ნ. ცომაიამ, პ. ამირანაშვილმა, სოლისტმა ბ. კრავეიშვილმა, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა მიქელაძემ.

საღამო მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა.

30 მაისს საქართველოს სს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში შესდგა საღამო ქართულ ენაზე. საღამო გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მთავრობასთან ამხ. ბუხნიკაშვილმა. იგი მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა სახელით მიესალმა ქართველ მწერლებსა და პოეტებს, რომლებიც შემოქმედებითი ანგარიშით ჩამოვიდნენ მოსკოვს. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ჩიქოვანმა საღამის დამსწრეთ აუწყა გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის გარდაცვალება. კრებამ მის ხსოვნას პატივი სცა ფეხზე ადგომით.

მოხსენებით „ქართული ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში“ გამოვიდა ამხ. ბ. ეულენტი, თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა და მწერლებმა გ. აბაშიძემ, ი. აბაშიძემ, შ. აფხაიძემ, ვ. გაბესკირიამ, რ. გვეტაძემ, ი. ციბერიშვილმა, კ. კალაძემ, მარიჯანმა, ა. მაშაშვილმა, ი. მოსაშვილმა, გ. ტაბიძემ, დ. შენგელაიამ და კ. ჭიჭინაძემ. აუდიტორია მზერვალედ მიესალმა თავის საყვარელ პოეტებსა და მწერლებს.

* * *

31 მაისს გაზეთ „პრავდას“ რედაქციაში მოეწყო შეხვედრა ქართველ მწერლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ გაზეთის მუშაკები, თანამშრომლები და მწერლები. მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პოსპელოვმა, გაზეთ „პრავდის“ კოლექტივის სახელით ქართველ მწერლებს მიესალმა მწერალი ვს. ვინეცკი, საპასუხო სიტყვით ქართველი მწერლების სახელით გამოვიდა ამხ. ალიო მაშაშვილი. ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, ილო მოსაშვილმა, ი. აბაშიძემ, კ. კალაძემ, მარიჯანმა, ი. გრიშაშვილმა, გრ. აბაშიძემ, კ. ჭიჭინაძემ, რაჟდენ გვეტაძემ, შალვა აფხაიძემ და ვ. გაბესკირიამ.

ქართველი პოეტების ლექსები რუსულ თარგმანში წაიკითხეს ნ. ტიხონოვმა, ლ. პენკოვსკიმ, ე. ანანიაშვილმა; არტისტებმა — ვ. ანჯაფარიძემ, თ. ჭავჭავაძემ და ს. ბალაშოვმა. საღამოს შემდეგ ამხ. პოსპელოვმა მადლობა ვადაუხადა ქართველ მწერლებს და უსურვა მათ მტკი შემოქმედებითი წარმატება. დამსწრე საზოგადოება ქართველ მწერლებს გულთბილად შეხვდა.

ვანო წულუკიძე

მარადი თანამგზავრი

(ალექსანდრე პუშკინის დაბადების 145 წლისთავის გამო)

მოუსყიდველი ხმა ჩემი — იყო
გამოძახილი რუსი ხალხისა.
ა. პუშკინი.

დიდი ხალხის დიდი მგოსანი პუშკინი მისი მუდმივი გამხნევებელი თანამგზავრია. ის არის ერის, იმედი და სასოება, მისი ეროვნული თვითშეგნების და სიამაყის დასაყრდეანი. ხალხი, რომელსაც წარმოუშვია პუშკინი, რაც უნდა მძაფრ ისტორიულ ქარტეხილში მოჰყვეს, არასოდეს არ დაჰკარგავს რწმენას თავის სიმტკიცესა და უძლეველობაში. ყამა განსაცდელისას იგი მიმართავს მას, როგორც თავის ინტელექტუალურ-მორალური ძლიერების სიმბოლოს, როგორც შეუმუსვრელ ჯავშანს თავის თვითარსებობის დასაცავად, როგორც შეუნგრეველ ფარს, რომელიც აირეკავს მტრისაგან ნასროლ ისრებს ისე, რომ ოდნავ არ შეიზნიქება.

პუშკინი სდგას იმ ბუმბერაზ წინაპართა რიგში, რომლებიც დღეს დიდ სამამულო ომში წინ უძღვიან რუს ხალხს, ამხნევებენ და ჰკვებავენ მას, ბრძოლის უტეხი ენერგიით პუშკინი რუსი ხალხის სიდიდის და სიდიადის სიმბოლოპოვაო განსახიერებაა. ეს ჭეშმარიტება, რომელიც პირველად გოგოლმა გამოსთქვა, დღეს ძვალრბილში აქვს გამჯდარი ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოტს, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ყველა მებრძოლს.

„პუშკინის სახელის გახსენებისთანავე, — ამბობდა გოგოლი, — თავში გაგვიელვებს აზრი რუს ნაციონალურ პოეტზე. მართლაც, არავინ ჩვენს პოეტთაგან მასზე მაღალი არ არის, არ შეიძლება ვისმე ეწოდოს მასზე უფრო ნაციონალური; ეს უფლება გადაჭრით ეკუთვნის პუშკინს. მასში, თითქოს როგორც ლექსიკონში, მოთავსდა მთელი სიმდიდრე, ძალა და მოქნილობა ჩვენი ენისა. მან ყველაზე მეტად მისწა-მოსწია მისი ფარგლები და ყველაზე მეტად დაგვანახვა მთელი მისი სარბიელი. პუშკინი არის მოვლენა განსაკუთრებული, იშვიათი და შეიძლება ერთადერთი მოვლენა რუსული სულისა. ეს არის რუსი ადამიანი თავის განვითარებაში. რუსი ადამიანი, რომელიც შესაძლოა ორასი წლის შემდეგ მოვიდეს. რუსული ბუნება, რუსული სულისკვეთება, რუსული ენა, რუსის ხასიათი მასში აისახა ისეთი სიხპეტაკით, ისეთი განწმენდილი სილამაზით, როგორც ლანდშაფტი აისახება ხოლმე ოპტიკური პიქის ამოხეხილ ზედაპირზე“.

რუსი ადამიანი განვითარებაში — ეს ფორმულა ყველაზე ძლიერად და მკაფიოდ გამოხატავს პუშკინის შემოქმედების ხალხურობას, მის უაღრესად ნაციონალურ ხასიათს, რადგან მასში მოცემულია, როგორც ხალხის წარსული გამოცდილება, ისე მისი მომავლის შესაძლებლობა. ბელინსკის სიტყვით პუშკინი ეკუთვნის იმ გენიოს შემოქმედთა, იმ დიდ ისტორიულ პირთა რიცხვს, რომლებიც იღწვიან რა აწმყოსათვის, ამზადებენ მომავალს.

მოუსყიდველი ხმა ჩემი იყო გამოძახილი რუსი ხალხისა, — ამბობს თავათ პოეტი და ეს არის ჭეშმარიტად ზუსტი განსაზღვრა მისი როლისა და მნიშვნელობისა. პუშკინი ერთ-ერთი პირველი პოეტია, იმათ შორის ვინც ხმა აღიმაღლეს რუსეთის განახლებისათვის, რუსეთის სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ეს არის პოეტი, რომელმაც რუსულ მწერლობაში მთელი სიმაღლეთ პირველად შეიტანა ჰუმანიურობის, თავისუფლების პათოსი, სასტიკი საუკუნის მხილების პათოსი; პოეტი, რომელმაც პირველმა აიღო ბეგი ხალხზე, რუსეთის ხალხზე, გამოხატა რა რუსი ხალხის ტანჯვა და მისი სანუკვარი იმედები.

ერთ-ერთი მისი პირველი, ყრმობისდროინდელი ლექსი „სოფელი“ გამსჭვალულია ულრმესი თანაგრძნობით ბატონყმობის ულელქვეშ მგმენავი რუსი გლეხობისადმი და დაუცხრომელი სიძულვილით მისი მბრალგრელებისადმი.

პუშკინისათვის რუსი ხალხი წარმოადგენს ძალას, აღსავსეს გამოუმეღავნებელი შესაძლებლობით; იგი ამ ხალხში ეძებდა გმირებს ჩვენი აკაკი წერეთელივით. პოეტის ეს რწმენა მკაფიოდ სჩანს მისი ტრაგედიის „ბორის გოდუნოვის“ საფინალო სცენაში. როცა ბოიარინი მასალსკი ბორის გოდუნოვის ოჯახის წევრთა ამოწყვეტის შემდეგ, ხალხის წინაშე გამოაცხადებს თითქოს მათ თითონვე მოიწამლეს თავი, ხალხი ამ ახალ სიცრუეს ხვდება მძიმე დუმილით.

მასალსკი: ხალხო! მარია გოდუნოვამ და მისმა ძემ თედორემ თავი მოიწამლეს შხამით, ჩვენ ვნახეთ მათი გვამები.

შეძრწუნებული ხალხი სდუმს.

— ეს რათ სდუმხართ? იყვირეთ: გაუმარჯოს მეფეს, მეფე დიმიტრი ივანეს-ძეს.

ხალხი სდუმს.

„ხალხი სდუმს“ — ტრაგედიის ამ დასკვნითს სიტყვებში იგრძნობა არა ინერტიულობა, არა პასიურობა რუსი ხალხისა, არამედ მისი ზდუმარად დაგუბებული ძალა, რომელმაც სტეფან რაზინისა და პუგაჩოვის დროს სახალხო აჯანყებათა ცეცხლოვან ღვართქაფად გამოხეთქა.

სტეფანე რაზინი, პუშკინის აზრით, არის ნამდვილი რუსი ადამიანი, რუსეთის ისტორიის ყველაზე პოეტური ფიგურა.

პოეტის მზერვალე სიყვარული რუსი ხალხისადმი, უბრალო რუსი ადამიანებისადმი, განსაკუთრებული სინთლით გამოჩნდა „ევგენი ონეგინში“, განსაკუთრებით მის იმ სტროფებში, რომელიც მიძღვნილია ტატიანა ლარინას გამდელისადმი. ცნობილია, რომ ეს მომხიბვლელი მოხუცი გლეხი ქალი იგივე არინა როდიონოვნაა, რომელიც რუს ხალხთან, ხალხურ შემოქმედების სამყაროსთან პოეტის დაკავშირების სიმბოლოს წარმოადგენს. თვით ტატიანა ლარინა პოეტის მიერ ულრმესი სიყვარულით გამოკვეთილი რუსი ქალიშვილის სახეა, რომელიც ვხიბლავს თავისი ფრთხობების და მათი გამომეღავნების ბუნებრივობით, თავისი პიროვნების შინაგანი თავისუფლებით, ადამიანური ღირსების შეგნებით, თავისი სიახლოვით და ღრმა სიყვარულით უბრალო რუსი ადამიანებისადმი.

თავად-აზნაურულ-ბიუროკრატიული წრის ატმოსფეროში სულშეხუთული პოეტი ვუდამ ცალისაკენ მიისწრაფოდა, ხედავდა რა მასში შებორკილი გოლიათის უძლეველ ძალას.

პოეტს აზიდავდა რუსეთის გლეხურ აჯანყებათა თემა, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ამოძრავებული ხალხის გამოხატვის ამოცანა. როცა პუშკინმა არქივებში დაიწყო მუშაობა, იგი გაიტაცა პუგაჩოვის აჯანყების ისტორიამ, რომლის შესახებ მან ჯერ გამოკვლევა დაწერა, ხოლო შემდეგ შესანიშნავი მოთხრობა „კაპიტანის ქალიშვილი“. ორივე ეს დოკუმენტი მოწმობს, რომ გლეხური რევოლუციის პრობლემა დიდად აღელვებდა პოეტს, იგი არ იყო გლეხურ აჯანყებათა მომღერალი, მაგრამ მას ჩინებულად ესმოდა მათი აუცილებლობა და გარდუვალობა, მათი ისტორიული სისწორე, მათი აუცილებელი საჭიროება რუსეთის წინსვლისათვის. პოეტის ეს თვალსაზრისი აშკარად გაპირდა ყალბუხრ ზღაპარში („კაპიტანის ქალიშვილი“). ამ ზღაპრის აზრი ის არის, რომ ხალხს სწყურია ხვედრი ლაღი არწივისა.

პუშკინის შემოქმედება არაჩვეულებრივად ფართო და ვრცელი გაქანების შემოქმედებაა, მას არ ზღუდავს ნაციონალური ფარგლები, პოეტის გონების თვალი სწვდება მთელს დედამიწას, მთელი მსოფლიოს ისტორიას, უძველესი საუკუნეებიდან უკანასკნელ დროამდე; ყოველივე დიადი, ნათელი, მოწინავე, ყველაფერი, რაც ადამიანია უმაღლესი ქადლით, ნიჭისა და თავისუფლების მადლით, ცოცხალ გამოხმაურებას პოულობს მის პოეზიაში. ცხადია, განსაკუთრებით ფართოდ და ვრცლად, პუშკინის პოეზიაში წარმოდგენილია მისი მშობლიური რუსეთის ცხოვრება, მისი ისტორიული, სოციალური, ყოფითი სინამდვილე, რუსული ბუნება, რუსი ადამიანები. მაგრამ მისი მხატვრული ინტერესები ამით როდია შემოწყლდული. ცნობილია ღრმა თანაგრძნობით გამსჭვალული უსაზღვრო ინტერესი პუშკინისა რუსეთის ყველა ხალხისადმი, მათი ყოფისადმი, მათი ქვეყნის ბუნებისადმი. უკრაინამ, ყირიმმა, მოლდავეთმა, კავკასიამ, კერძოთ საქართველომ ჰპოვეს პუშკინის სახით თავიანთი მგზნებარე მომღერალი. პუშკინის და მისი დიდი მემკვიდრე-ს ლერმონტოვის ლექსებმა ჩვენ, ქართველებს, **გაგვიმეხვილეს** ხედვა და კიდევ უფრო შეგვაყვარეს ჩვენი ქვეყანა, ჯაფარა კავკასიონი მისი ზვიადი ბუნებით და ლაღი შვილებით. ამით პუშკინი ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნებისათვის, უაღრესად მახლობელ, მშობლიურ პოეტად იქცა, რომელიც თავისი შემოქმედებით, ჩვენი იმდროინდელი სინამდვილიდან აღებული ბოძბიბლავი სახეებით გვეხმარება კიდევ უფრო განვამტკიცოთ ძმური კავშირი და ურთიერთგაგება.

მუდმივ შეუნელებელ ძალას და ქმედითი მნიშვნელობას პუშკინის პოეტურ შემოქმედებას ანიჭებს სიცოცხლის ის ყოვლისშემცველი სიხარული, რომელიც მისი ნაწარმოებიდან ჭეშრის და რომელიც გვმსჭვალავს მხნეობითა და აღტაცებით, მიუხედავად იმისა, რომ თვით პოეტს წილად ხვდა არც ისე მხიარული და სამური ცხოვრება.

ჩვენს ყოველდღიურობაში უსაზღვროდ გვშველის ის წყურვილი სიცოცხლისა, ის სიხარული, ის პატრიოტული პათოსი, რომელიც ჩვენს შეგნებაში დანერგეს და აღზარდეს პუშკინის წარმტაცმა სტროფებმა.

სიცოცხლის მოყვარეობა პუშკინისა ის დაუშრეტელი პოეტური წყაროა, რომელიც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ასაზრდოებდა ჩვენს შემოქმედებითს აღფრთოვანებას, ხოლო მოსისხლე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაჯახების წლებში ჰკვებავდა და ჰკვებავს ჩვენს საბრძოლო აღტკინებას, ჩვენს სიმტკიცეს, რომელზედაც დაამსხვრა შუა საუკუნეების ბნელეთის, გერმანული ფაშიზმის ჯავშანი.

ვიცავდით რა პუშკინის მიერ ამაღლებულსა და განდიდებულ სამშობლოს, ჩვენ იმავე დროს ფაშისტური სიბილწისაგან ვიცავდით პუშკინს, თვითმპყრობელობისა და ჰონობის სასტიკ მოწინააღმდეგეს დ მედგარ პოეტულს, პუშკინს, დეკაბრისტების მეგობარს. ვიცავდით მთელს მის წარმტაც პოეტურ მემკვიდრეობას, მის ჩანგს, მის პოეზიას, რომლებიც მოგვიწოდებდა და მოგვიწოდებს სიცოცხლისაკენ, მოქმედებისაკენ, სიხარულისაკენ.

შორს არ არის ის დღე, როცა პუშკინის მშობელი ხალხი იზეიმებს თავის საბოლოო გამარჯვებას წუდიადის მეუფებაზე, — ჰიტლერულ გერმანიაზე, და ჩვენ კვლავ შეუდგებით ჩვენს აღმშენებლობას, ჩვენ კვლავ აღვმართავთ პუშკინის ძეგლებს ყველგან, სადაც გერმანელმა ვანდალებმა ისინი დანგრიეს, ჩვენ კვლავ წარმოვსთქვამთ მისი ძეგლის წინაშე, როგორც უკვდავ ჰიმნს მზისა და ნათელი გონებისადმი, პოეტის დაუფიწყარ სიტყვებს, რომელიც მუდამ გვესმოდა ჩნელეთთან გამართულ სასტიკი ბრძოლების ჟამს:

Ты, солнце святое, гори!
Каж эта лампада бледнеет
Пред ясным восходом зари,
Так ложная мудрость мерцает
и тлеет
Пред солнцем бессмертным ума!
Да здравствует солнце,
Да скроется тьма !

ალექსანდრე პუშკინი

ძეგლი

Exegi monumentum

ძეგლი აღვიგე ხელთუქმნელი, მარადიული,
არ გაუქმდება გზა სახალხო, მისკენ მავალი,
ქედმოუხრელი სდგას ამაყად, ცად აზიდული,
ის ალექსანდრეს სვეტზე მაღალი.

არა, სავსებით არ მოვკვდები: სულს დანამკვიდრებს
ჩემს აღთქმულ ჩანგში მიწიერი გახრწნა ასცდება.
სადიდებელი მე ვიქნები ამ ქვეყნად ვიდრე
ერთი პოეტი მაინც დარჩება.

სახელი ჩემი მოედება მთელს დიად რუსეთს,
და მომიგონებს ყველა ერი მასში მცხოვრები:
ამაყს სლავს, ფინელს, დღეს დღეობით ველურს ტუნგუსელს,
ველთა მკვიდრს ყალმუხს ვემახსოვრები.

არ დაივიწყებს დიდხანს ხალხი ჩემს ერთგულებას,
რადგან ნერგავდა კეთილს გრძნობებს ჩემი ჩანგური.
ჩემს სასტიკ დროში ვიქადაგე თავისუფლება
და შევრდომება სვედაჩაგრულის.

უსმინე მხოლოდ, ჩემო მუზავ, ციურ ბრძანებას,
ნუ მოგხრის წყენა და დიდების ნუ გსურს დაფნები.
გულგრილად შეხვდი ხოტბასა და ცილისწამებას
და ბრიყვს ნურასდროს შეედავები.

ა. პ. კერნისადმი

მე მახსოვს წამი: მოსილი ნათლით
გაცომეცხადე წარმტაც მშვენებად,
ვით სილამაზის ხორცსხმული მადლი,
სწრაფწარმავალი, ვით მოჩვენება.

ფუჭი ცხოვრების ხმაურში მგმინავს,
უიმედობის კაშნით ნაგვემს
შენი ნაზი ხმა მესმოდა დიდხანს,
სიზმრად ვხედავდი შენს ციურ ნაკვთებს.

მიჰქროლნენ წლები. სუსხმა ზამთრისამ
ჩემს ძველს ოცნებებს შეჰკვეცა ფრთები,
მეც დამავიწყდა შენი ნაზი ხმა
შენი ციური სახის ნაკვთები.

შორს, ყრუ მხარეში განმარტოებით
ვიდოდნენ ჩემი დღეები ნელი,
არც სასოების, არც შთაგონების,
არც სიყვარულის მდენია ცრემლი.

იწყო სულისთვის დღემ გათენება,
და აი ისევ მოსილი ნათლით,
გამომეცხადე ვით მოჩვენება,
ვით სილამაზის ხორცსხმული მადლი.

და მოეფინა გულს სასოება,
ჩემთვის კვლავ აღდგენენ ჯვარზე გაკრული
წმინდა ღვთაება, ზეშთაგონება,
სიცოცხლე, ცრემლი და სიყვარული.

ორივე ლექსი თარგმნილია ვანო წულუკიძის მიერ.

ალექსანდრე საჯაია

მშობლიური სიმღერა

ეს კედლები ძველისძველი
მრავალ წელთა წვიმით სველი,
მრავალ ქართა წერა.
ათას მზეზე აორთქლილი
ასე თბილი, ასე ტკბილი
მამა-პაპის კერა.

მხიარული მერცხლის ბინა,
ჩემი სახლი პაწაწინა
სოფლის გულში მდგარი...
ხან ნიავი უმღერს ლექსებს
ხან მაისი უალერსებს,
ხან წვიმა და ქარი.

მე მის ჭერქვეშ ვიმალები
შინ შემომყვა მზის თვალები,—
მიმატოვებს განა?
— ოქროს შუბი მომიღერა
ააყვავა ოქროსფერად
ასი ჭუჭრუტანა.

ვაზი კედელს შემოერტყა,
დღემ აივანს მოაბერტყა,
მადლიანი კალთა.
მზე თვალს აპერს და ფუტკარი
ყვავილების რძით დამტკბარი,
ბზუის, ბზუის კართან.
ჩემი ოდა პაწაწინა
სიხარულით დათვრა!
ჩემი ოდა მყუდრო ბინა
უბინაო ქართა.

სადაც ვიყო... სხვა ფრიალოს
სხვა მზეს, სხვა კოჯრს ვეტრფიალო, —
უცნობ ქვეყნის კარად.
შორით მიმზერს დიდებული,
ნისლის ნაბადმოგდებული
მეოცნების გვარად,

ჩემი ბაღი ფიქრის ჯადო,
გაზაფხულის სანავარდო
და ლამაზი ასე,
ჩემი ჭერი გამურული,
ჭრიჭინებით სავსე,
კვამლის ფრთებით დაბურული
მარტო მდგარი გზაზე.

როს მოგვაწყდა მტერი შავად
ჩემი აკვნის დასაწვავად,
სეტყვა ჩვენი ბაღის,—
შურისგებით დავიდაგე,
ქარიშხალად გადვიკარგე
და ვუმზერდი: მალლით—
მუგუზლებით მაქეზებდა,
ცეცხლის თვალებს აკვესებდა
ჩემი მშვიდი სახლიც.

ბრძოლის ქარში გვერდით მახლდა,
ლექსის პწკარში ჩამისახლდა
მყუდრო ბუდე ჩემი:
სიხარულის მახარობლად,
სიმინდების ზღვაში ობლად
დარწეული გემი.

მოკაზმული ჩემი ეზო,
ზამთრის ქარბუქს დაცეზრო
ახლა მზეზე ლრეობს.
დღეს: მზე ვაზებს, ბალებს, წნორებს!
ხეზე სურო გააზმორებს
მზეზე მანაზეო.
მზე ასრულებს ყველა სურვილს
და ფუტკარი ბზუის, ბზუის
მზეო, მზეო, მზეო.

მიყვარს ეს ხმა, ეს ფერები
მარტო ამ მზეს ვეფერები,
ამ უჩრდილო ნათელს.
სიტყვაც ბინდით დაფარული,—
სძღულს სამშობლოს სიყვარულით
გალაღებულ ქართველს.

ლექსიც ქროდეს ნიავადა.
მოეფინოს ია-ვარდად
გულებს ჩრდილუკარებს;
აზრის სხივი, სიტყვის სხივი,
მივაჩვიოთ მერცხალივით
მშობელ ჭერს და კარებს.

ეს კედლები ძველისძველი
მრავალ წელთა წვიმით სველი,
მრავალ ქართა წერა;
ათას მზეზე აორთქლილი,
ასე ტკბილი, ასე თბილი
მამა-პაპის კერა.

ლევან გოთუა

წაგებული სანაძლეო

წიგნის კაცი არ არის მებრძოლი დათო გენგაშვილი.

— ეჰ, უკვე ორმოცდა ხუთ წლამდე მიმიღწევია, წიგნის სიბრძნე კი არ მეხერხება... ბავშვობაში დედა-ენა „მოდი ვნახოთ ვენახამდე“ ვისწავლე, ჰო და ვენახს იქით აღარც წავსულვარ — გეთაყვა... თითქოს თავს იმართლებდა დათო, ხოლო სიტყვა „ვენახს“ რაღაც განსაკუთრებულად, საამო, დაბალ ბოხით გამოსთქვამდა. ალბათ ყოველ ადამიანს აქვს საყვარელი სიტყვები. და ყოველი სიტყვა ერთნაირად როდი გამოითქმის. ზოგს მხოლოდ ბგერით აავსებ, ზოგს კი გულის ნაწილაკს ჩააყოლებ და თან გაატან. თუ გულისყური გაქვს ასეთ სიტყვას ყოველთვის გამოიცნობ.

— მეევენახეობას ხომ არ ეწეოდი სოფელში?—თითქოს სხვათაშორის შეეკითხე გენგაშვილს. მწითური ლაწვები ფართო ღიმილმა უფრო შეუფერა და ამოუტივფრა. ჭაღარა შერეულ ულვაშზე ცერი გადისვა.

— კიდევაც, სართიჭალაში აგეთი ვენახები გვაქვს კოლმეურნეობაში, ავ თვალს არ დაენახვებინ—ჰეი, დედასა—მტერს აბა როგორ ავაკლებინებდით იმათა... შერმე მე როგორ ნალჩიკის მხარეში ვნახე აკლებული ადგილები...

გენგაშვილს სახე უეცრივ გაუმკაცრდა, ხმაშიც სიმკაცრე ჩაუდგა. ახლა ჩემს წინ ხანში შესული მეევენახე კოლმეურნე კი არა, არამედ გამოცდილი და გულმრისხანე მებრძოლი იდგა.

დათო გენგაშვილი პირველად მტერს ჩრდილო კავკასიაში შეხვდა, იგი არტილერიის ქვედანაყოფებში ჩინებულ მეურმედ ითვლებოდა, ნაღმებით და ყუმბარებით უხვად და დროულად ამარაგებდა ბატარეას. მის ხელში ცხენ-ურმის მოსართავები და თასმები ფანდურის ლარებივით იყვნენ აწყობილნი. არც ზედმეტად ტვირთავდა ცხენს. იცოდა ზომა და ყაირათი. მხოლოდ ერთხელ დატვირთა ზედმეტად, დიდი ჯაფა მიაყენა და არც უმტყუნეს „მეგობრებმა“.

მტერს იერიში მოჰქონდა. მისი ტანკები გრუხუნებდნენ და მოიწევდნენ, მათი უკუქცევა იყო საჭირო.

ზარბაზნები გაბმით გუგუნებდნენ. დათომ მოაგელვა თავის ზედმეტად დატვირთული ურემი.

— ჰე, ახლაც ორმაგი მარაგი მოგიტანეთ, აბა ბიჭებო, ტაბიკები დაუმტვრიეთ ამ „ეშმაკის ურმებს“,—მტრის ტანკებზე მიუთითა დათომ,—ვარაუდი მაქვს, შერმე კი აგეთ „ეშმაკის ყუმბარას“ მოგიტანთ, ყველანი გაკვირვებაში ჩავარდეთ!

— რა ყუმბარას კაცო, შენი გაკეთებული ხომ არ იქნება?... შეეხუმრნენ მებრძოლები.

— კიდევაც! სთქვა და სადავეები მოუწურა ცხენებს.

— ხო, ხო, სართიჭალაში, ხომ არ ისწავლე „ყუმბარის“ კეთება?...

— კიდევაც! უფრო მნიშვნელოვნად გაიმეორა და ურემი მოაბრუნა დათომ.

— ბიჭოს, აღარ ხუმრობს!.. მაინც რაა აღარ გვეტყვი?... ახმიანდნენ მეომრები, მაგრამ გვიანღა იყო, დათომ უკვე მოსხლიტა ცხენები და ჩაგრიალდა გორაკიდან.

— მართლაც კინაღამ დამაგვიანდა მეორე დღეს,—თავის კანტურით მაუწყა გენგაშვილმა,—ბარაქალა—კოტრიმ და ცალ-თვალამ მიხსნეს.

სახელები მევუცხოვა...

— ესენი ალბათ შენი თანამებრძოლები არიან?

— კიდევაც!—და დათომ სრულიად მოულოდნელად თავი ასწია, უცნაურად მოკუმა სქელი ტუჩები და ძალუმად დაუსტვინა. სმენა წაიღო სტვენამ. შევკრთი, სახტად დავრჩი, მაგრამ უმალ ყველაფერი გამოირკვა. ფიცრულის მიღმიდან ომახიანი ჭიხვინი მოისმა. დათომ ისევ დაჰხარა თავი და თხრობა განაგრძო:

— ის მაცდური, ჩაილურელი ილა შემარნიშვილი არის დამნაშავე, სანაძლეო წავაგე მასთან... დამიჩემა „ვენახს ფაჩვენებო“, ვერა მეთქი, „ჰოდეო“, ჯავრი მომივიდა... შერმე, რა შემოდგომა იდგა, სწორედ რთველის დრო იყო!... აბა, რა ვიცოდით, თუ ნალჩიკის მხარეშიც იქნებოდა ვენახი.

— ჰო და ფიჩვენა?

— შერმე როგორი! — მაგრამ დათო თხრობას აყოვნებდა, ვერძნობდი სიტყვას ითრეკდა, ყოყმანობდა.

„ვინ იცის, რას იტყვის ქალაქიდან მოსული კაცი, იქნება დამძრახოს კიდეც... ის ალბათ მტრის ყლეტის ცნობებს ელის, დაჭრილ უფროსის ცეცხლიდან გამოყვანის ამბავს, ამის ყველაფრის მომქმედია იგი, მაგრამ მას სხვა რამე სწადს გაუზიაროს... იქნებ უბრალო, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანი რამ“. ალბათ ასე ჰფიქრობდა სართიჭალელი კოლმეურნე—ხანშიშესული მებრძოლი და ალალი გული ადამიანი.

გასამხნევებლად სიტყვა ჩავუკარ;

— ეჰ, არც თქვენ გაწყენდათ მაჭარი!..

— მაშ არა, ჩვენთვის უფრო უბრიანი არ იყო? ფეხზე წამოიჭრა დათო და შუბლიდან იჭვის ოფლი მოიწმინდა. ალალი გული გახსნილი იყო.

* * *

ილა მემარნიშვილმა გზა უჩვენა. და დათომ ურემი როცა ყუმბარებით დატვირთა პოზიციებისკენ სხვა გზით წამოვიდა. გული დამშვიდებული ჰქონდა — საღამომდე ყუმბარები არ მოაკლდებოდა ქვემეხებს. მალე მდინარის პირას გავიდა. გაღმა აკლებული, უკაცრიელი სოფელი ჩანდა. გამოღმა კი ვენახი იყო. მწიფე ძეტევნებით შემტკბარი და დაყურსული ვენახი. მტერს არ დასცლოდა მისი გაანადგურება. სართიჭალელი მეევენახე მონუსხულივით იდგა. შერმე დინჯად შემოუარა ვენახს, შორიდან ნუკბარობდა, თითქოს არცა სჯეროდა, ეშინოდა არ გამქრალიყო საამო ზმანება. ბოლოს გული დაიჯერა, ღობეზე შედგა ფეხი, ჭიჩინისფლის თვალით გადაჰხედა ზვარს და შიგ ჩავიდა. ამ ვაკაკუნებულ მერძოლს, გული უცნაურად უტოკავდა. მტევნებს რომ მიუალერსა, რატომღაც თავის ბავშვები მოაგონდა, მან იგრძნო, რომ ეს მისი ვენახია, მისი ჯიგარი... გალმა კი ტყვიამფრქვევი კაკანებდა, გორებიდან ქვემეხები გუგუნებდნენ... მათ კიდევ თვითმფრინავების მღრიანი ხმაც შეემატათ, მაგრამ დათო არაფერს არ აქცევდა ყურადღებას, მისი ალალი გული ოცნების სამყაროში იყო წასული. ულოდნელად თვითმფრინავის ჩრდილი დაეცა ვენახს. ცას მტაცებლები გაეკვრნენ ერთი.. ორი... სამი... მრავალი... შორი ახლოს ყუმბარები დაჰყარეს... დათო მყისვე გამოერკვა... დატვირთული ურემი მოაგონდა...

გამოდილი ხელი შესტაცა, ზედმეტი ფოთლები შეაცალა ვაზებს და ცხენ-ურემი შეფუთა — შეახამა... ცხენებიც გამოუხსნელად მიუშვა ბალახად... დროზე მოასწრო, რადგან ერთ-ერთი ყუმბარა ვენახის შუაგულში ჩავარდა და რუში ჩაწოლილ დათოს მიწა და მტევნები თავზე დაანარცხა.

გაბრუებული წამოდგა დათო. ძირმოთხრილი ვაზები დაკლულებივით ეყარენ მზეარეზე. დამარცხული და დასრესილი მტევნები შეუშრალ ცრემლად შერეულიყვნენ ბელტებში და შლამში.

მოკვეთილ მკლავებს ჰგავნდნენ დალეწილი ჭიგოები. გახეევებული უმზერდა დათო ამ სურათს. იგი მშობლიურ სამყაროში იყო, მაგრამ ამ სამყაროში ნგრევა და სიკვდილი იყო შეჭრილი. და მან მტერი რაღაც საშინელ სატანად იგრძნო. უეცრივ შეშფოთდა დათო. მას ხმა მოესმა გარკვევით. მოიხედა და ვერაკინ დაინახა. ახლა სხვა მხრივ მოესმა ხმა... და აქაც არავინ იყო... ეხლა ყოველ მხრივ ესმოდა ხმები, ძახილი, თხოვნა, კვნესა, გოდება: „დაგვიცავ“, „დაგვკრიფე“, „ნუ დაგვგდებ მტრის გასაჯეკნათ“. მუდარა ესმოდა ირგვლივ დათოს — ვაზების მუდარა! შემზარავი, გულამომჯდარი მუდარა. შრიალებდნენ მიწაზე დანარცხებული ყლორტები, სტიროდნენ თაფლწამწარებული მტევნები, მოსთქვამდნენ ძირ-წაკვეთილი ვაზები. ჰგოდებდა საბურავ გადამსცდარი მარანი და გატეხილი საწნახელი. და უეცრივ დატრიალდა დათო. მას არც ახსოვს ეს როგორ მოხდა. მარანში ნაპოვნი კასრით წყალი ამოიტანა რუდან, სწრაფად გარეცხა საწნახელი, გატეხილი მხარი ზემოდ აუწია, ისე გამართა. კოფოდ ნახმარები, ცარიელი სავაზნე ყუთი ურმიდან მოარბენინა, ყურძენი ჩაკრიფა და ფიცხელი

(დასასრული მე-4 გვ.)



„ძველი თბილისი“. ნახ. ვახტანგ ჯაფარიძისა.

გიორგი გაგუნია

ვახტანგ ჯაფარიძის აკვარელი

საქართველოს იმ მხატვართა შორის, რომელთაც უკვე სახელი მოიხვეჭეს, როგორც აკვარელის ოსტატებმა (მ. თოიძე, ი. შარლემანი, ლ. კეშელავა, შ. მამალაძე, ლ. გუდიაშვილი), თვალსაჩინო ადგილი ვახტანგ ჯაფარიძესაც უნდა დაეთმოს.

მან საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ საქ. მხატვართა საზოგადოების მიერ გამართულ გამოფენაზე მიიქცია.

ვ. ჯაფარიძე მხატვარი და ხუროთმოძღვარია. ამიტომ მის ნამუშევრებში ხშირად სჭარბობენ დეკორატიულ - არქიტექტურული მოტივები. მისი მუშაობის პირველი პერიოდიდან საინტერესო აკვარელებია „ძველი თბილისის ქუჩა“, „ნარიყალას ნანგრევები“, „ბოტანიკური ბაღის ხეივნები“.

პალიტრა ამ აკვარელებისა მდიდარია, ის უმთავრესად მუქფერადია. ეს მუქი ფერები შეიძლება გამოწვეული იყოს მუქი კოლორიტით ძველი თბილისის შენობათა, რომელთაც ასე ხშირად იღებს თემად მხატვარი. აკვარელებში მონასმები გაბედულთაა ნახმარი. გასაკუთრებით ეს ითქმის დეკორატიულ აკვარელებზე; ამ პერიოდის შემდეგი ნამუშევრები ლრმა ჩრდილ-სინათლის ეფექტებზეა აშენებული.

შემდგომი წლების აკვარელები, არქიტექტურული მოტივები, თუ პეიზაჟები ან არიან დატვირთული ზედმეტი დეტალებით. ამ პერიოდის ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია „ახალი თბილისი—სანაპირო ქუჩა“ „პარკში“, „ძველი თბილისი“ „ბაკურიანის ანდეზიტი“, „ბორჯომის ეტიუდი“, „დეკორატიული ეტიუდი“ და სხვ. ამ ხანებში მხატვარი პეიზაჟებს გარდა, ბრწყინვალე „ნატურა-მორტებსა“ სწერს, მხატვარი ამ ნატურა-მორტებში აკვარელთან ერთად ხმარობს გუაშსაც, და ტემპერასაც. (1936-37).

შემდეგ წლებში მხატვარი იცვლის წერის მანერას: პატარა ნერვიულ მონასმებს სცვლის ფართო, ჩქარი გუაშის მონასმები. ამ პალიტრა წმინდა და ნათელია. მშვენიერია ამ ხანის „ნატურა-მორტთა“ სერიიდან—„ჰიქა ჩაი“. იგი ნაწერია ბაცი, მონაცრისფერო გამმთ. ფერთან უმზეო აკვარელები მხატვარმა შესცვალა მზითა და შუადღის ბუღით სავსე პეიზაჟებით.

მხატვარი დაუღალავად მუშაობს ახალი თბილისის თემაზე.

ამას გარდა ვ. ჯაფარიძეს შესრულებული აქვს „ბათუმის სანაპირო ქუჩის ხედები“, „ნოვოსადგურისა და გემების ჩანახატები“;

ვახტანგ ჯაფარიძეს ბოლოდროინდელ ნამუშევრებიდან ბრწყინვალედ შესრულებული არიან: გოგებაშვილის გამოფენისათვის დაკვეთილი აკვარელები „სახლი ვარიანში, სადაც დაიბადა ი. გოგებაშვილი“, „სოფ. ვარიანის ხედი“, „წყაროო ვარიანში“, „ვარიანის მიდამო“ (შემოდგომა) და სხვ.

ეს პეიზაჟები ნაწერია ნარევი მასალით — (აკვარელი, გუაში). ოსტატურად შესრულებული აკვარელით არის გადმოცემული მთელი უკანა პლანი (მთები, ნისლი, ხეები), რითაც მხატვარი აღწევს ჰაეროვნებასა და სივრცის ილუზიას, წინა პლანს კი (ნაურმევი გზა, ტბორები, ქვები, ღობეები) მხატვარი სწერს გუაშით.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მხატვარი მუშაობს სამამულო ომის თემატიკაზე. მან არა ერთი პეიზაჟი მოგვცა, სადაც ნამდვილად იგრძნობა ომის სუნთქვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ნახატები, რომელნიც მხატვარმა შეჰქმნა ნოვოროსიისკის, ანაპის, კრასნოდარის, გელენჯიკის დათვალიერების დროს. ამ მისი პალიტრა შესდგება სამი ფერისაგან—თეთრი, ლურჯი და ყვითელი ფერისაგან. უკანასკნელი ნამუშევრები მხატვრისა გვიბლავს საუცხოო ტექნიკით და გემოვნებით. მის ყოველ პატარა ეტიუდშიაც არის სიცოცხლე და განცდა. მხატვარს დღემდე სამასზე მეტი ნამუშევარი აქვს. მისი საუკეთესო სურათები გამოფენილი და დაცული არიან მოსკოვის, ხარკოვისა და თბილისის მუზეუმებში

პეიზაჟისტ ვახტანგ ჯაფარიძის შემოქმედება, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება, ის კვლავ დაუღალავად მუშაობს თავის თავზე. ყოველ მის ახალ ნამუშევარში სჩანს მხატვრის ზრდა და წინსვლა.

„მოსკოვის ცა“

პირველ ივნისიდან მოსკოვის კინოთეატრებში დაიწყო ახალი მხატვრული კინოფილმის „მოსკოვის ცის“ დემონსტრაცია. სცენარი დაწერილია გიორგი მდივნის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით ბლეიმანისა და ბოლშინოვის მიერ. დამდგმელია ი. ტრაიზმანი. მთავარ როლებს ასრულებენ პ. ალეინიკოვი, ნ. ბოგოლიუბოვი და ნ. მაზაევა. მოქმედება სწარმოებს მოსკოვში, 1941 წლის შემოდგომაზე. ფილმში ერთი მეორეს სცვლიან გმირული და ლირიკული თემები. მაყურებელი ხედავს საპაერო ბრძოლებს, საბჭოთა მფრინავების სიმამაცეს და თავგანწირულებას. სურათი ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი მფრინავების ყოფაცხოვრებასა და მათ საბრძოლო მეგობრობაზე.

იასამანი

ს. ჩიქოვანი უკრაინულ ენაზე

უკრაინელი საბჭოთა პოეტები დიდი სიყვარულით თარგმნიან ქართველ მწერლებს. მათი ენერგიული მუშაობის წყალობით ქართულმა ლიტერატურამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მრავალმილიონიან უკრაინელ მკითხველთა მასებში. „ვეფხის-ტყაოსანს“ შემდეგ უკრაინულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა აკაკი წერეთლის თხზულებები. ამათ მოჰყვა ბარათაშვილის, გურამიშვილის, ილიას, ვაჟა-ფშაველას და მრავალი სხვა ქართველი ავტორის ცალკე ნაწარმოებების თარგმნები, რომლებიც იშვიათის ერთგულებითა და ოსტატობით არის შესრულებული უკრაინელი პოეტების მიერ. უკრაინულ ენაზე ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწერებიც ითარგმნებოდა, მაგრამ ცალკე წიგნად ეს თარგმანები უკანასკნელ წლებამდე არ დაბეჭდილა.

პირველი ქართველი საბჭოთა პოეტი, რომლის ლექსების წიგნი ჯერ კიდევ ომამდე ცალკე გამოცემად გამოვიდა უკრაინულ ენაზე, არის სიმონ ჩიქოვანი. ჩიქოვანის ლექსები ჯერ ადრევე იბეჭდებოდა უკრაინულ გაზეთებში, მაგრამ როგორც მიკოლა ბაჟანი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, უკრაინელ მკითხველს მხოლოდ წიგნის გამოცემის შემდეგ ეძლევა საშუალება „თუმცა არა სრული, მაგრამ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა იქონიოს ქართველი ხალხის შესანიშნავი პოეტის სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების შესახებ“.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი ლექსები: „ყაზბეგი“, „წვიმაში“, „უშგულის კომკავშირი“, „ხევსურული ძრობა“, „საღამო ხახმატთან“, „სამეგრელოს საღამოები“, „ნიეარის საფერფლე“, „შემოდგომის საღამოები კოლხიდაში“ („ბავშვობის მოგონება“, „კოლხიდის საღამო“, „ტბაზე“, „ჰიდროპლანი და მებაღე“, „ჭირნახულის შემოსვლა სოფლად“), „პალიასტომის ტბა“, „მეთევზე“, „მეთევზის სტუმრობა“, „წუნდას ტბა“, „მდინარის გადაგდება“ და „გორის ციხე“. ლექსები თარგმნილია მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის, ლ. პერვომაისკის, ა. კოპშტეინის, ს. გოლოვანოვსკის, ა. მალიშკოს და სხვათა მიერ.

რათა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თარგმანის ხარისხზე—ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ მაგალითზე. ავიღოთ ლექსი „ნიეარის საფერფლე“, რომლის თარგმანი ეკუთვნის უკრაინული ლექსის ისეთს დიდ ოსტატს, როგორიც მაქსიმ რილსკია. ამ შესანიშნავ ლექსს უკრაინელი პოეტი თარგმნილია ექვსმარცვლიანი, როგორც დედანშია, და ჯვარედინი რითმების გამოყენებით. ქართული ლექსი ათმარცვლოვანია. თარგმანში კი, კენტი სტრიქონები—თერთმეტ-მარცვლოვანია, დანარჩენი კი 10 მარცვლოვანია, როგორც დედანში.

ლექსის მთელ მანძილზე სავსებით დარჩენილია დედნის საერთო განწყობილება, — წარსულის ლირიული განცდა. ლექსის საერთო ტონი და სურათოვნება არსად არ იჩრდილება. ავიღოთ პირველი სტროფი: ნიეარის საფერფლე პოემა კოლხიდელ უყელო გედს შეადარა, ზურგით მწოლარეს და პაწწინას, უკრაინულ თარგმანში ნათქვამია: „საფერფლე ეგსგვსება უქელო გედს, ...მელიც კოლხიდის ველზე მოუცლათო“. ასევე ითქმის დანარჩენ სტროფებზედაც.

ყველა თარგმანში შენარჩუნებულია ქართული კოლორიტი. ქართული დამახასიათებელი სახელები და თქმა ხელუხლებლად დატოვებულია უკრაინულ თარგმანებში.

უკრაინელი პოეტების მიერ უკვე მონახულია და მიგნებული საერთო ნორმა ქართული ლექსის თარგმნისა უკრაინულად. კარგია „ხევსურული ძრობა“, რომელიც თარგმნა თეთრ ფინელებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულმა პოეტმა პარონ კოტეტინმა. კარგია აგრეთვე თარგმნები ა. მალიშკოსი და ე. ფომინისა. ამ თარგმანებს ახასიათებს დედანთან მაქსიმალური სიახლოვე, პოეტური სილამაზე და ლექსის წრფელ ყღერა.

როგორც ყოველთვის, მაღალი ოსტატობით თარგმნის მიკოლა ბაჟანი,—წიგნის რედაქტორი. მისი ჭეშმარიტებლობა ღრმად აჭრილია მთელ წიგნს. მის მიერ თარგმნილია ხუთი ლექსი, ბაჟანი უპირველეს ყოვლისა დედნის ზუსტად გადმოცემაზე ფიქრობს. ის ცდილობს თარგმანი დედნის სიცხოველით წარსდგეს მკითხველის წინაშე; ამიტომაც მის თარგმანში სტრიქონებს არასოდეს არ აკლდება რიტმი, რითმა არასოდეს არ არის ყრუ, მაგალითი ბევრია, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ სტროფს მოვიყვან ბაჟანის მიერ შესრულებულ თარგმნიდან ცნობილი ლექსის „გორის ციხისას“.

„თმოგვის ციხიდან მტკვარი ეუვნებით
მოჰქრის და წვება ქართლის ჩიტელზე
ჩვენ მტკვარს ფეხდაფეხ დავედევნებით
და ავმაღლდებით გორის ციხეზე.

უკრაინულად:

„Від мурів Тмогві древньою землею
Біжить Кура, об камені суворі
Дзвенить і б'ється. Ми спішим за нею
И на фортецю сходимо над Горі“.

ფორმალურად თარგმანში მტკვრის ეუვნებაზე არაფერია თითქოს ნათქვამი. მაგრამ რადგანაც სულ ამის გამოტოვება პოეტურ სურათს დაჩრდილავდა, ამიტომ მთარგმნელმა მტკვარი ეუვნებით გადაიტანა მეორე სტრიქონის ბოლოში და მესამე სტრიქონის პირველ ნაწილში (მტკვარი „პირქუშ ქვებს ეხეთქება და ჟღარუნებსო“) ამნაირად დაცულია დედნის საერთო მხატვრული სურათი.

წიგნი ხალისით იკითხება. პოეტის იმ საკმაოდ გარკვეულ დახასიათებაში, რომელიც ლექსებს წინასიტყვაობის სახით უძღვის წინ, მიკოლა ბაჟანი, სხვათა შორის, სწერს: „თავისი ხალხის ერთგულ სამსახურში, სოციალიზმის სამშობლოსთან განუყოფელ კავშირში ეძებს სიმონ ჩიქოვანი თავის პოეტურ ძალას, თავის ერთადერთ პოეტურ გზას. მისი ძიება არ არის ამაო. ძვირფასი შენაძატია მთელი საბჭოთა ლიტერატურის საგანძურისათვის ამ დაკვირვებულის, მრავალფეროვანის და ღრმად ჩამწვდომი პოეტის ლექსები“.

*) იხ. Сімон Чіковані. Поезії. Переклади за редакцією М. Бажана. Державне літературне видавництво. Київ.

ი. ნოვიკოვის „თბილისი“

„ზარია ვოსტოკომ“ გამოსცა რუსი პოეტის ი. ნოვიკოვის ლექსების მეტად საინტერესო კრებული „თბილისი“. იგი შესდგება სამი განყოფილებისაგან: პირველში წარმოდგენილია ავტორის ორიგინალური ნაწარმოებნი, მეორეში—თარგმანები ქართველი კლასიკოსებიდან და მესამეში—თარგმანები თანამედროვე ქართველი პოეტებიდან.

მთელი წიგნი გამსჭვალულია ულრმესი სიყვარულით საქართველოს ხალხისა და ქართული კულტურისადმი. ი. ნოვიკოვის თითქმის ყველა ორიგინალური ლექსის თემა — თბილისია. ავტორს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ქართული ფოლკლორიც—წიგნში წარმოდგენილია თარგმანები: „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“ და „საბრალო დედაბ-

—

რისასა თავგვნი ყანასა მკიანო“. აღსანიშნავია, რომ ი. ნოვიკოვს ლექსად უთარგმნია ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“.

ი. ნოვიკოვს რუსულად უთარგმნია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ლექსები. უფრო უხვად არის წარმოდგენილი წიგნში თანამედროვე ქართული პოეზია: აქ ვკითხულობთ ალ. აბაშელის, ირ. აბაშიძის, ვიქტ. გაბესკირიას, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, ალ. მამაშვილის, ილო მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის და ს. ეფსის ლექსების თარგმანებს.

„თბილისი“ გამოცემულია ალ. აბაშელის რედაქტორობით. წიგნი შეიცავს 144 გვერდს და ღირს 12 მანეთი.

ერ. ასტვაცატუროვი

იოსებ გრიშაშვილის პოეზია*

იოსებ გრიშაშვილმა, როგორც ნიჭიერმა და უაღრესად კოლორიტულმა პოეტმა, თავიდანვე მიიქცია ლიტერატურული საზოგადოებრივობის განსაკუთრებული ყურადღება, იგი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როგორც ადამიანის სუბიექტური განცდების გულწრფელი გამომხატველი და ძველი თბილისის ტრუბადური. ამ გზით პოემა შეჰქმნა ორიგინალური სტილი, რისთვისაც დამახასიათებელი იყო მაღალი პოეტური ოსტატობა და მხატვრული გამოსახვის სიფაქიზე.

ი. გრიშაშვილი რევოლუციამდე უმთავრესად ინტიმური სიყვარულის მეხოტბე იყო, მაგრამ იმავე დროს მისთვის უცხო არა ყოფილა საზოგადოებრივი მოტივები, ქართული ხოჯალაქეობრივი პოეზიის ტრადიციები, რომელნიც მის შემოქმედებაში მოცემულნი იყვნენ როგორც საწყისები, როგორც ადრინდელი სათავეები პოეტის დღევანდელი პატრიოტული სულისკვეთებისა. რევოლუციამდელ გრიშაშვილს მოსვენებას არ აძლევდა „სამშობლოს დარდი და ბოლმა“, მზად იყო სიცოცხლე შეეწირა სამშობლოსათვის, ერთ ადრინდელ ლექსში პოეტი მიმართავდა სატრფოს:

„...მიყვარხარ ქალო! ვფიცავ, მიყვარხარ!
მიყვარს ოცნება, ცრემლით აღთქმული,
მაგრამ უფრორე ჰოი ქალწულო,
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული.
გულში მიღვივის მამული ტრფობა,
წინაპართაგან გადმონაცემი,
სამშობლომ მომცა ნიჭი ღვთიური,
მას უნდა ვუძღვნა სიცოცხლე ჩემი“,
(„შენ გეჯავრები“)

ამრიგად, იმ მომენტშიც, როცა ი. გრიშაშვილი ე. წ. სატრფიალო ლირიკის თემებით იყო გატაცებული, იგი როგორც მოქალაქე, როგორც პოეტი, ძლიერად განიცდიდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების ზეგავლენას. მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო სამშობლო და მისი ბედნიერება.

რევოლუციამდელ გრიშაშვილისათვის თავისუფლებაც პოეტური სტიქიის ნაწილს შეადგენდა. თვითმპყრობელობის შავბნელი რეჟიმი პოეტს სულს უხუთავდა და იგი თავისუფლების მზის შუნდა სხივებს შესტრფოდა:

„თქვენ, ეი, გესმით? გესმით, მზე მინდა,
მზე ზღვის ფსკერიდან ცეცხლად ნაფეთქი!
მზე... მზე მომეცით, გესმით? მზე ფშნდა!
მზე... მზე მომეცით, მომეცი... მეთქი!“

ეს იყო პოეტის გაბედული პროტესტი მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მისი ლირიკა სიცოცხლეში იღებდა საწყისს და სიცოცხლეს, ლაღსა და თავისუფალ სიცოცხლეს ეხმაურებოდა. გრიშაშვილი მოკლებული არ იყო ოპტიმისტურ განწყობილებასაც. მისი პირველი ლექსები სწორედ იმითაც არიან აღსანიშნავი, რომ იქ სიცოცხლის აბსტრაქციასთან ერთად თავისუფლების კონკრეტულ წარმოსახვასა და მის გარდუვალობის შეგრძნებასთანაც გვაქვს საქმე. ცხრაასხუთის რევოლუცია დამარცხდა, „დაიმსხვრა იმედები“, მტარვალთა ხროვა ზეიმს მიეცა, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია სასოწარკვეთილებამ მოიცვა. გრიშაშვილი არ იყო ბრძოლისა და მოქმედების პოეტი, მაგრამ მას მაინც შერჩა გარკვეული დრომდე რწმენა იმისა, რომ ხალხი მალე დაამსხვრევდა ბორკილებს, გაარღვევდა ბნელეთის და თავისუფლებას მოიპოვებდა:

„მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები!
მალე გავარღვევ ბნელეთის კედლებს,—
თავისუფლებას მივეგებები!“
(„ტუსაღის სიმღერა“, 1907 წ.)

„ტუსაღის სიმღერა“ სიმბოლური ლექსია. ტუსაღის სახით პოეტის მიერ ნაგულისხმევია საქართველო. თავისუფლებისათვის ტრფიალში მისი პოეტური სული წმინდა სანთელივით იწვოდა.

თავისუფლების სურვილი პოეტს მოსვენებას არ აძლევდა. პოემა იცოდა, რომ „ცის კაბადონს შავი რიდე აწუხებდა, ვით ტყვეს ხუნდი, და სამყარო კიდით-კიდე ნისლს შთაეთქმა, ბინდი-ბუნდი მეფედ იჯდა, ბატონობდა და სიმართლეს ფეხით სრესდა“. თავისი ოცნებანი მან სიზმრის სახით გადმოგვცა: თითქოს ქარი ამოვარდა, ცას ფარდა შეახია, ნისლი გაჰფანტა; და „წმინდა დროშა ზეაღმართა“. ამ პერიოდში ჯერ კიდევ უხვად იყო 1905 წლის რევოლუციის აღმფრენი შთაბეჭდილებები. ამ შთაბეჭდილებათა შთაგონების ქვეშ პოემა ქარში სიმბოლიურად თავისუფლება გამოსახა; მაგრამ, გამოეღვიძა რა პოეტს, უცბად გაჭქრა ლამაზი ილუზია. მან იხილა ქვეყნად ისევ ბატონობა მტარვალისა. „კვლავ იუდას ბნელი სახე.. კვლავ მონობა!.. ყვავ-ყორანნი ედემის ვარდს კვლავ სჯიჯგნიდნენ შესაზარად“, და მწუხარებას მიეცა:

„ახ, ნუგეში მთლად წამერთო,
ვერ ვაჩერებ ცრემლთა სრბოლას,
და მას შემდეგ, ვნატრობ, ღმერთო,
შავ საფლავში ძილს და წოლას...“

ასეთივე ლამაზი ილუზიის ნაყოფია „განთიადი“. იქ პოეტმა ბუნების სილამაზე, განთიადის მომხიბვლელი სურათი და ბუნების სახეცვლილება საზოგადოებრივი ყოფის თავისუფლებას დაუკავშირა. ამასთან, ლექსში პროტესტის შინაგან ხმასაც ვისმენთ, სუსტ, მაგრამ ძაინც პროტესტის ხმას ამ ადამიანისას, რომელსაც მოთმინება აევსო და სურს დატოვებს ბუნებრივი ცხოვრების სიტყბოთი“:

„ბახთიადმა შვილდ-ისარი მოიმარჯვა,
მოიქნია,
წყვდიადს გულში ჩაასო და... გააპო და
გააბნია,
ნისლმა კალთა შეიბერტყა, სუსხი განკრთა
შიშის მგვრელი,
სხივმა გაჰკრა მთის მწვერვალებს, ცამ
მოიხსნა ძაძა ბნელი!
გადახადა შავი რიდე ჯანყ-ბურუსით
მოცულ არეს
და ციმციმად შესთამაშა ლილის ციაგს
მოელვარეს.
ცის მკერდისფერ კაბადონზე სხივს ისრიდა
შუქ-ნათელი
და ქვეყანას გულს უთბობდა საყვარელი...
სანატრელი...
მეგობარო! მომე ხელი... გვეყო, რაც ვსვით
შხამ-სამალო!
გულის პასუხს მიგვხდომია ბუნება და მისი
ძალა!
(1909 წ.)

ამგვარად, სიცოცხლის ხმებისთვის დაიბადა პოეტი, მაგრამ დრომ მოსწამლა მისი ნაზი და სიცოცხლით აღსავსე ბუნება, მის გულს სევდის ჭრილობები დაჩრნია. აკი თვითონ პოეტმა გვითხრა:

„ეამა მწუხარეს და კაეშნით გარემოცულსა,
ტრფობის ისარით დაკოდილსა,
დამწუხრებულსა, —
მსურდა შთამენთქა ბნელ ჯეურღმულში
მწარე ფიქრები,
მსურდა ყოველმხრივ გამეგონა სიცოცხლის
ხმები
და მხიარულად ავამღერე ჩანგის სიმები...
..მაგრამ ეეცრივ შეიცვალა საამო ჰანგი,—
და დღესაც მოსთქვამს მწარე კვნესით ეს
ჩემი ჩანგი“.
(1909 წ.)

იოსებ გრიშაშვილს მოქალაქეობრივობას შთაგონებდა ნიკ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მგზნებარე პატრიოტიზმი.

ეს დიდი კლასიკოსები, რომელთაც შორს ხედვის დიდი დიაპაზონი ჰქონდათ, მოკლებულნი არ იყვნენ სევდას, მაგრამ ამ სევდიან სტრიქონებშიც ისინი ჩვენს სულს პატრიოტიზმის ცეცხლით ათბობდნენ. ილიას შთამაგონებელმა სტრიქონებმა:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამული საყვარელო
შენ როდის აყვავდები?“—

წარუშლელი ცვალი დაჰნიეს ქართულ პოეზიის სულს. არც ერთი ჭეშმარიტი პოეტი და ბელეტრისტი არ გამოსულა შემდეგში, რომ მამულის ჭრილობა გულს იარად არ დასჩნეოდეს. ჩვენს პოეტსაც სულის ეს ტკივილები აწუხებდა, როცა იგი, ქვეყნის სილამაზით მოხიბლული, აღტაცებას ეძლეოდა, მისი გული მაინც იმაზე სწუხდა, თუ როდის განახლდებოდა საქართველო:

„მე ამ ქვეყნის სილამაზე რა ვნახე და რა
ვიგრძენი,
მთლად მოვკეთდი, განვიკურნე, გავგიჟდი
და გარდვიქმენი!
მხოლოდ გული იმასა სწუხს, მხოლოდ
გული მატომ კვდება,
რომ სნეული ივერია, ვინ უწყს, როდის
განახლდ

ტრიფონ რუხაძე

პოეზის დაცვის იდეა

მას შემდეგ, რაც ადამიანმა პოეზიის ძალა განიცადა, მას უყვარს თავისი პოეტი და მფარველობს მას. თუ რაოდენ შეუძლია ეუყვარდეს ხალხს თავისი პოეტი და გმირი ამაზე მოგვითხრობს მშვენიერი გადმოცემა „იბიკოსის წეროებზე“. ამ თემას არა ერთ ენაზე შეჰხებიან უცხოურ და ქართულ ლიტერატურაში. კერძოდ „იბიკოსის წეროები“ პოპულარული სიუჟეტი იყო ლიტერატურულ წარსულში. მას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში უჩენია თავი ბერძნულ და ებრაულ ლიტერატურაში. მასზე უმუშავია პოეტს **ანტიპატრს** (I საუკ. ქრ. წინ). ქრისტიანობის ხანაში „იბიკოსის წეროები“, სხვათაშორის გამოიყენა სირია-ბიზანტიელმა ფილოსოფოს მწერალმა **ნემესიოს ემესელმა** (IV-V საუკ.), **ფრ. შილლერმა** (1759-1805) და რუსმა პოეტმა **ჟუკოვსკიმ** (1783-1852).

საინტერესოა, რომ „იბიკოსის წეროებს“ თავი უჩენია ძველ ქართულ მწერლობაშიაც. ამ თემაზე უწერიათ ქართველ მწერლებს **იოანე პეტრიწს** (XI-XII ს.) და **საბა ორბელიანს** (1658-1725), ახლახანს ეს ლექსი შილლერიდან სთარგმნა პოეტმა **ხ. ვარდოშვილმა.**

ჩვენ აქ გვინდა გაუზიაროთ ჩვენს მკითხველებს რაგორი სახით დამუშავდა ძველ ქართულ მწერლობაში „იბიკოსის წეროების“ სიუჟეტური ვარიანტები. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ როგორია ამ საინტერესო ფაბულის თავდაპირველი ქარგა. იბიკოსი იყო ბერძენი პოეტი (VI საუკ. ქრ. წინ), რომელიც სატირულ ლექსებს წერდა და გამოდიოდა სახალხო მოეღნებზე, ხალხს ძლიერ უყვარდა თავისი პოეტი. ერთხელ იბიკოსი კორინთს გაემართა სახალხო დღესასწაულზე, რათა ეხილა დიდი სანახაობა და წარმოეთქვა ლექსები:

„ის მგოსანია, ტკბილ ვალობის ნიჭით
ცხებული,
რეგიუმიდან მოდის იგი ოკნებით სავსე,
საასპარეზოდ, ღვთიურ ცეცხლით
გულანთებული“[1])

უდაბურ ტყეში პოეტს ხვდებიან ავაზაკები და სასიკვდილოდ განგმირავენ მას. არავინ არის მშველელი. ამ დროს გადმოიფრენენ წეროები, იბიკოსი უკანასკნელ ღონეს მოიკრებს და შესძახებს მათ:

„ჩემი დალუპვის ერთად ერთი თქვენ
ხართ მოწმენი...
სთქვა და მის სახეს ჩაეკონა მარადი
ღამე“...

უკანასკნელი სიტყვები და იბიკოსს თავს დაადგა ახლო მეგობარი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო:

„მთელი ჰელადა ქვითინებდა
ცრემლმორეული,
მძიმე დანაკლისს განიცდიდა ყოველი
გული,
აღელდა ხალხი, გაუღვივდა გრძნობები
მტრული,
პრიტანს მიუხტა, მოითხოვა, აინთოს
რისხვით,
მგოსნის მკვლელებზე ულმობელი იძიოს
შური“.

იწყება კორინთის დღესასწაული და სანახაობა. მაყურებლებსა და მოთამაშეებს ერთი აზრი ამოქმედებს.

„მაგრამ ვაი მას, ვერაგობა ვინაც გაბედა...
იგი აქ არის, დამნაშავეს, ჩვენ უკვე
ვხედავთ!“

ანაზდად წეროების გუნდი გამოჩნდა. ერთერთმა მკვლელთაგანმა ამხანაგს გადაუღაპარაკა: „იბიკოსის წეროები“. ამას ყური მოჰკრა პოეტ იბიკოსის ერთერთმა მოტრფიალემ—ყველამ ერთბამად იგრძნო, რომ მკვლელები აქ ისხდნენ, იგრიალა ხალხმა, მიატოვა სანახაობა, რათა შური ეძია იბიკოსის მკვლელებზე. მკვლელნი თავს ცნობენ დამნაშავედ და აღსრულდება განაჩენი მთელი ხალხისა.

შემდეგ პოეტებმა ეს ლამაზი გადმოცემა შეაკეთეს, შეაფარდეს, თუმცა ძირითადი ქარგა იგივე დარჩა, მაგრამ საქმე ასე არ არის ქართულში. „იბიკოსის ფაბულას ძველი ქართველი მწერლები გაცნობიან ორი გზით: ბიზანტიისა და სპარსეთის. **იოანე პეტრიწი,** რომელმაც თავის თარგმანით პირველმა გაგვაცნო „იბიკოსის წეროები“, ასახელებს ორ წყაროს: „ჰორიათა წერილნი და ელინთაცა მიერ აღწერილნი“[2]) აქ პეტრიწი თავის წყაროს საფუძველზე გადმოგვცემს „იბიკოსის წეროების“ პერიფრაზს ისე, როგორც ეს ბერძნულშია ცნობილი. ამდენად, უფრო საინტერესოა სპა ორბელიანისეული გადმოცემა. ის განსხვავებული რედაქციაა.

ცნობილია, რომ საბა ორბელიანს ეკუთვნის ერთერთი, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული რედაქცია ქართულ „ქილილა და დამანასი“. საბას აქ მოეპოვება ერთი „არაკი მწირისა“, რომელიც შემდეგს მოგვითხრობს:

ერთს ქალაქში ცხოვრობდა მწირი „კრძალვით საქებელი, ამისთვის რომე გული მეცნიერებითა აევსო და ცოდნა ყოველივე შემოეკრიბა“. მას სახელად დანადილ ერქვა. ერთხელ იერუსალიმის მოხილვა მოეენება და გზას გაეგზავნა. დანადილს წინ მეკობრენი დახვდნენ და მოკვლა დაუპირეს. დანადილ მათ ეუბნება: გამიშვით, ნუ მომკლავთ და ჩემი ქონება მიირთვითო. ავაზაკებმა არ უსმინეს და სასიკვდილო მახვილი აღმართეს. სბარალო მწირი აქეთ-იქეთ აეცალებდა თავლებს, ეგეგ მშველელი ვინმე გამოჩნდესო, ეაგრამ მას უდაბურთა ყველა ველთა ზედა და საშიშართა და საროდელთა უდაბნოთა შინა ვინ მოვიდოდა მისად მწედ?“ გადაიფრინეს წეროებმა. დანადილმა უხმო: „ეჰა მწერონნო, უწყალოთა ხელთა შინა შევვარდი.. თქვენ ჩემი შური ამა მეკობრეთაგან იძიეთ, და ჩემსა სისხლსა ამათ ნუ შეარჩენთო“. ამ სიტყვებზე ავაზაკებმა განგმირეს სბარალო მწირი და თან ააცალეს, რაც გააჩნდა. მთელს ქალაქს დაუმძიმდა დანადილის სიკვდილი. ყველას უნდოდა აღმოეჩინა მკვლელი. დადგა ბუნიობა, დღე და ღამე გასწორდა, დანადილის ქალაქის თანამემამულენი და მეცნიერნი ერთ ადგილს შეიკრიბნენ, რათა იზეიმონ ბუნიობა და გამოიცნონ თავისი ბომბავალი. შეკრებილთა შორის მწირის მკვლელებიც იყვნენ. ამ დროს მოფრინდნენ წეროები და თავს დასტრიალებდნენ შეკრებილთ. დანადილის ერთერთ მკვლელს გაეცინა და თავის ამხანაგს ელაღობა: „ნუთუ დანადილის წერონი სისხლს ჩვენგან ითხოვენო“. ამას ყური მოჰკრა ბუნიობის ერთერთმა მონაწილემ და სხვებს გადასცა. უცებ შეიპყრეს მკვლელები, გადასცეს მსაჯულებს და „ყოველივე ათქმეს“. ხალხს სამსჯავროს მკვლელებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

სპარსულიდან მომდინარე ამ ქართულად დამუშავებულ არაკში ბერძნულთან შედარებით ზოგი რამ შეცვლილია. აქ იბიკოსს ცვლის დანადილი, დანადილი მეცნიერი და სწავლულია, მწირია, იბიკოსი-კი მხოლოდ საყვარელი პოეტია, ის კი ნათელია, რომ ერთი და იგივეა ყველა მოთხრობის იდეა: ხალხი იცავს თავის საყვარელ პოეტსა და გმირს.

პოპულიარობა ამ სიუჟეტისა სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ეს ხალხური იდეაა. ამ ძველი მოარული სიუჟეტის გახსენება განსაკუთრებით საინტერესოა დღეს, როცა გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა არა ერთი ღირსშესანიშნავი პოეტი და ხელოვანი აწამეს და მოჰკლეს. ფაშისტმა ჩტარვალებმა იმსხვერპლეს საბერძნეთის უდიდესი პოეტი **კოსტის პალამასი,** რომელმაც საჯაროთ შეაჩვენა ჰიტლერი. გერმანელებმა დაჭვრიტეს შესანიშნავი და უპატიოსნესი ჩეხი მწერალი **ვანჩურა,** საფრანგეთის საუცხოო პოეტი **სენ-პოლ-რუ,** ფრანგული ლიტერატურის გამოჩენილი ხელმძღვანელი **ჟაკ დეკური,** ფილოსოფოსი **ჟორჟ პოლიცერი.** კიდევ ვინ ვოსთვლის რამდენი შესანიშნავი შემოქმედი გამოასალმეს მათ წუთისოფელს. წამებულთა რიცხვი მეტად დიდია, მეტად ვრცელია ეს მარტიროლოგი, რომელშიაც მსოფლიო მკითხველი თავის არა ერთი საყვარელი პოეტის სახელს წაიკითხავს.

მაგრამ გავიხსენოთ ის ძველი მოთხრობის დასასრული, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ: ავაზაკი მკვლელები დაუსჯელად არ დარჩენილან. ხალხმა ისინი სიკვდილით დასაჯა. ასეთი ბედი ელის ყველა ყაჩაღს, ყველა მკვლელს. ახლოვდება დღე, როცა გერმანელი ავაზაკები მსოფლიოს სამსჯავროს წინაშე პასუხს აგებენ როგორც მშვიდობიანი ქალებისა და ბავშვების მასობრივი ულეტისათვის, ისე პოეტთა და ხელოვანთა სიცოცხლის განადგურებისათვისაც. მათ მწერლების სისხლიც უნდა ზღონ, მათ არ ასცდებათ ის სასჯელი, რომელიც ხალხმა ჯერ ისევ ძრავალ საუკუნის წინ პოეტისა და მეცნიერის მკვლელს გამოუტანა.

ლადო გუდიაშვილი

შეხვედრა ვირუსმანთან

1918 წელს პირველად გავეცანი ნიკო ფიროსმანს. მოსკოვს, მხატვართა კავშირის დავალებით, მე უნდა მომეძებნა ის და მომეყვანა მხატვართა ერთ-ერთ უახლოეს კრებაზე. დაახლოებით ვიცოდი მისი ბინადრობის რაიონი და დიდებისაკენ გავწიე ამ ფანტასტიური მხატვრის საძებნელად.

პირი ძებნის შემდეგ ერთ ეზოში ბავშვების ხმაურმა შემაჩერა. თვალწინ უცნაური სურათი გადამეშალა. ჭიშკარზე მდგომი კაცი ბავშვებს ლანძღავდა, ჩემს მიახლოებაზე უცნობმა კარები სასწრაფოთ მოიკეტა. მე მივხვდი რომ მიზანს მივაღწიე და დაკარგული მხატვარი ვიპოვნე. გამეხარდა და უკვე დაჯერებულმა რომ ეს ფიროსმანი იყო, იქ მყოფ ბავშვებს შევეკითხე: ვინ არის ეს კაცი-მეთქი. იმათი დასტურითაც ის ფიროსმანი აღმოჩნდა.

კარგახნის ბრახუნის შემდეგ კარები გამოღო: ის მეტად დანაღვლიანებული იყო, რაც გამოწვეული იყო აბეზარი ბავშვების მიერ, რომელნიც ყოველ წუთს მუუდროებას ურღვევდნენ მხატვარს. ჩემს დანახვაზე უეცრად შეკრთა, შემდეგ შემეკითხა თუ ვის ვეძებ? როდესაც გაიგო, თავაზიანად ოთახში მიმიწვია და ჩემი ვინობა გამომკითხა, რამდენჯერმე გამამეორებინა ჩემი სახელი და მიზეზი მისვლისა.

ის ცხოვრობდა კიბის ქვეშ მოფიცრულ ოთახში, დაახლოებით სამ კვადრატიულ მეტრის ფართობზე. ერთ ბნელ კუთხეში ტახტი იდგა, რომელზედაც ლოგინი ელაგა. იატაკზე ეყარა ხელსაწყო, ფუნჯები და ფერადები. იქვე იყო დაწყობილი სურათები; „ირმები“, „ლომები“, „კოტეტწიწილა“, „თამარ მეფე“ და სხვა. აქვე მაგიდაზე იდგა ლამპა გაბოლილი და თავ-წამტვრეული შუშით.

თვით მხატვარი მაღალი და გამხდარი ტანისა იყო, ეცვა პიჟაკი, გალსტუკით, მისი ტანსაცმელი მოძველებული სჩანდა. მხატვრის კეთილშობილ სახეს ძმიმე და დუხჭირი ცხოვრების დაღი ემჩნეოდა, მისი ბრწყინვალე თვალები დიდ სულიერ სიძლიერეს, კეთილშობილებას და სიმშვიდეს გამოხატავდნენ. ხშირად ერთსა და იმავეს იმეორებდა. ეს ალბათ შეხსიერების სისუსტეს მოასწავებდა.

პირველი მისი კითხვა ის იყო: „თქვენ მტრულად თუ მოყვრულად ფობრძანებულხართო?“ მე როგორც კი განუცხადე მიზანი ჩემი მისვლისა და გადავეცი ფული რომელიც მას მხატვართა კავშირმა გაუგზავნა, მისი განწყობილება სრულიად შეიცვალა. აღარ იცოდა რით გამმასპინძლებოდა, გამოიღო განჯინიდან გამხმარი პურის ნაჭერი, და დიდის ბოდიშით შემომთავაზა. ჩვენი ბაასი დიდხანს არ გაგრძელებულა, შემომჩივლა ცხოვრების სიძნელეზე. ისიც მითხრა, რომ ხშირად ერთი სადილის ან ვახშმის ფასად მას უხდებოდა მიკიტნისათვის სურათის დატოვება. ამრიგად ის სამინელ ეკსპლოატაციას განიცდიდა თავისი „მეცენატებისაგან“.

ჩემ შეკითხვაზე თუ რომელი ფერებითა სწერს ამ მეტად საინტერესო პასუხი მომიგო:

— აი თქვენ ცალუსტუკიანი მხატვრები ბრძანდებით, დასეირნობთ გოლოვნის პროსპექტზე და ფერების გაკეთება კი არ იცით. ამ სიტყვების შემდეგ აანთო ლამპა, მის ბოლს თეფში შეუშვირა, შემდეგ ამ ჭვარტლს ზეთი შეურია და ამრიგად შავი ფერი გააკეთა. ცარცის ნაჭერი იატაკზე დააგდო ფეხით დასრისა, იქვე ზეთი დაასხა, ქვის პატარა ნატეხით აურია და თეთრი ფერი მიიღო. მითხრა: აი როგორ უნდა ფერების გაკეთება და სურათებიც კარგი გამოვაო.

მე ყველაფერზე დავეთანხმე. ფერების დამზადების ჩვენებისათვის მადლობა გადაუხადე, კიდევ შემეკითხა ჩემი სახელი.

— დიახ, ჩემო ლადო ასე...

მე აღარ მინდოდა შემეწუხებინა და წასვლა დავაპირე. ის კი ღვინის სარდაფისკენ მეპატიჟებოდა. მე ღვინოზე უარი უთხარი. მაშინ ლიმონათი შემომთავაზა, ამაზედაც უარი ვთქვი. შემდეგ გამომაცილა და ჩვენი საუბარი გაგრძელდა. მიამბო ზოგიერთი რამ თავის ცხოვრებიდან.

მისი წადილი ის იყო, რომ სადმე ქალაქის ცენტრში ყოფილიყო ერთი სახლი, სადაც შუა მაგიდაზე დაიდგმებოდა „სამოვარი“. შემოკსხდომოდით ამ მაგიდას მხატვრები და გვეპაასნა ხელოვნების საკითხებზე. ეს ზადილი გამიმეორა კიდევ ერთხელ კრებაზე და გზაშიაც ამის შესახებ მესაუბრებოდა.

გამოჩენილი რუსი მხატვრების უცნობი ნაწარმოებნი

მხატვრულ ნაწარმოებთა შემსყიდველმა საბჭოთა ხელმწიფო კომისიამ შეიძინა და ტრეტიაკოვის გალერეას გადასცა დღემდე უცნობი ხუთმეტი მხატვრული ნაშრომი გამოჩენილი რუსი მხატვრებისა; მათ შორის, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სურიკოვის ნახატების ალბომი. ეს ნახატები პირველდელი ესკიზებია სურიკოვის ორი დიდი ტილოსი „სუვოროვის გადასვლა ალპებზე“ და „სტეპან რაზინი“. მეორე ალბომი, რომელსაც ასი წლის ისტორია აქვს, შეიცავს მხატვრებისა და არქიტექტორების — ნიკოლაზ ბენუას, სკოტისა და შტერნბერგის მიერ შესრულებულ აკვარელებს—სახუმარო პორტრეტებს. გალერეიას გადაეცა ავრეთვე ნესტეროვის ცნობილი სურათის „სერგისა და დათვის“ ერთ-ერთი უცნობი ეტიუდი, კიპრენსკის მიერ შესრულებული ორი პორტრეტი შჩერბატოვებისა, მისივე, სურათი „საბრალო ლიზა“, რომელიც დაწერილია კარამზინის ამავე სახელწოდების მოთხრობის ზეგავლენით.

ამთ გარდა სახელმწიფო კომისიის მიერ შეძენილია შიშკინის ორი პეიზაჟი, რეპინის პასტელით შესრულებული „ქალის პორტრეტი“, სეროვისა და ვრუბელის 17 ნახატი, ლეკიტანის — „ალპები“, ტროპინინის — „ბავშვი ჩიტით“, ნესტეროვის „შემოდგომის დღე“.

მხატვრის საფრონტო ალბომიდან. ნახ. **ვახ. ჯაფარიძისა.**

6. ტოლმაჩევსკაია

ომი და ბავშვები

ნორჩი მხატვრების ნახატები

სამამულო ომს საქართველოს ბავშვები მეტად გულფხიზლად ეხმაურებიან. თავის განცდებს ისინი გვიჩვენებენ ნახატებში, ლექსებსა და მოთხრობებში, სიმღერებსა და შაირებში. სახალხო განათლების მუზეუმის და სათამაშოს მუზეუმის დაკალებით დაგროვილმა მასალამ ბევრი ნორჩი ნიჭი გამოაღვიძა. საბავშვო სახლებში, სკოლებში და პიონერთა სასახლეში. მრავალ ამაღელვებელ ნახატს გვაძლევენ პაწია ბავშვები.

მართალია, ნორჩი ავტორების ნახატებს ხშირად ხშირდებათ განმარტებითი წარწერები, მაგრამ რა რიგად გულწრფელი დაგრძნობით სავსენი არიან ეს ნახატები. ალიკო კაველაშვილი, 4 წლისა, (პირველი საბავშვო ბალი) იძლევა მთელ კომპოზიციას: „წითელ-ფლოტელები გამოდიან წითელ არმიის სახლიდან და ნავთსადგურისაკენ მიდიან“. წითელ ფლოტელთა ქუდებს მოფრიალე ლენტები ამშვენებთ, წითელ არმიის სახლზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ბრწყინავს, შორს კი ნავსადგური მოსჩანს გუმბათიანი სახურავით, რომელზედაც დროშა ბიბინებს. ალიკომ ამ ნახატში გადმოგვცა ყოველივე, რაც მის გულს სურდა. რა რიგ ამაღელვებელია მისი ტოლის, ზეკიკო ჯაფარიძის ნახატი — „ბომბები ყვავილებზე ცვივიან“. როგორი მდიდარი აზრია გამოთქმული გულუბრყვილო რგოლებით

სხვა პაწიები მებრძოლთა ცალკეულ ფიგურებს ასახავენ და ყურადღებით გამოჰყოფენ მათში იმას, რაც მათ ფანტაზიაზე მოქმედებს: ვარსკვლავიან ქუდს, ჩაფხუტს, მედლებს გულზე. გვხვდება წყალქვეშა ნავიც წითელი დროშით. 4-5 წლის ბავშვები ომს მისი ცალკეული მომენტებით განიცდიან და მათ ცხადად არ ძალუძთ გადმოგვცენ მოვლენათა ერთობლივობა და თანამიმდევრობა. ისინი ცალკეულ სახეებს იძლევიან, ოღონდ დიდი გულწრფელობითა და უშუალობით.

5-6 წლის ბავშვების ნახატები ხშირად გვაკვირვებს თავის შეგნებული მიდგომით ფორმისა და მოძრაობის გადმოცემის ხერხებისადმი.

საინტერესოა მათი წარმოდგენა ამ ადგილმდებარეობისა, სადაც ომი წარმოებს. აგერ მწვანე ბალახი, ბუჩქები, ყვავილები, ხოლო მოშშენდილ ცის კამარაზე მზე ელვარებს და ოქროს სხივებს აფრქვევს ირგვლივ. ეს ლამაზი, აყვავებული მდელო განკუთვნილია წითელი არმიისათვის, მტერი კი სადღაც შორს იმყოფება. ბავშვი წითელ არმიელებს ისე, როგორც თავის ყველაზე უფრო საყვარელ და უძვირფასეს ადამიანებს, ათავსებს ისეთს გარემოში, რომელშიაც ისინი კარგად იგრძნობენ თავს. დიდის სიყვარულით ანაწილებს ის მათ ბუჩქებსა და ყვავილებს შორის, სადაც ის უთუოდ თითონაც სიამოვნებით ინავარდებდა.

განსაკუთრებით მხიარულათ ანათებს მზე ექვსი წლის ლაურა ლარიონის ნახატზე.

ძან საინტერესო მომენტი აღბეჭდა: „წითელმა არმიამ გაიმარჯვა“: მარცხნივ ორი ფიგურა დგას, ალბად, უფროსები არიან. ერთს მათგანს, რომელიც სწრაფად მიდის, ხელში თაიგული უჭირავს, მეორეს აღუმართავს წითელი დროშა და სიტყვით მიმართავს წითელ არმიელებს, რომელთაც მარჯვენა ხელი გამოუწოდიათ თითქოს ფიცის დასადებად, რომ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე განაგრძობენ. ბუნება, მწვანე ბუჩქებით და წითელი სოკოებით წარმოდგენილი, ზეიმობს წითელარმიელებთან ერთად.

მართალია ეს ფიგურები, მარტივნი და გულუბრყვილონი არიან, მაგრამ პაწია მხატვარმა ხომ გამოსთქვა რაც სურდა, ხომ მიაროვა საყვარელ წითელ არმიას საჩუქრად ლაურა ყვავილები!

7 წლის გურამ აღლაძის მოძრაობით სავსე ნახატები დაძაბულ ბრძოლას გადმოგვცემენ: თვითმფრინავები, რომლებზედაც წითელი მოკიაფე ვარსკვლავებია გამოსახული, მოშშენდილ ცაზე დანავარდობენ. ტანკები იერიშზე გადადიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბრძოლო სამუალებებს—თვითმფრინავებს, ტანკებს, ტყვიამფრქვევებს ბავშვები დიდის ყურადღებით ხატავენ და კიდეც იციან მათი კონსტრუქცია. გურამი დიდი დამაჯერებლობით გადმოგვცემს თვითმფრინავის მოძრაობას. შეუდარებელია მის ნახატში კავალერისტების გაჭენებული ცხენებიც: ერთი მათგანი უკანა ფეხებზე შემდგარა, მეორე თითქოს წინა ფეხებზე დგას. წარწერა გვაუწყებს: „ჩვენმა კავალერისტებმა მტერი გაანადგურეს“.

ომი და ბავშვები

ნორჩი მხატვრების ნახატები

განსაკუთრებით საინტერესოა თეზიკო ჯაფარიძის კომპოზიცია „ლენინგრადი“. თეზიკოს ასე წარმოუდგენია ლენინგრადი: ცისფერ სიმაგრე: ეს არის ლენინგრადი. ნახევარ ბურთ ლის ზემოთ ბომბთმფრენი მფრინავი, კი, ოქროს ფრთიანი ანგელოზივით, ფრენ-ფრენით ფანტავს ბომბებს. ბომბები ცეცხლოვანი ფანჯრებივით ეცემიან ქალაქს. ბომბებთან ერთად ბომბებთან ერთად ბომბებთან ერთად ... ბომბებთან ერთად ... ...

„სიმინდის რჩევა". სურათი ა. ციმაკურიძისა.

ქრონიკა

ესტონელი მუსიკოსები თბილისში

საქართველოს ფილარმონიის სიმფონიურ კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ეწვიენ ესტონეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — ვიოლინზე დამკვრელი ვლადიმერ ალუმე და პიანისტები ანა კლასი და ბრუნო ლუკი.

მათი მონაწილეობით ფილარმონიის სახელობის ოპერის თეატრში ხუთ ივნისს გაიმართა კონცერტი. კონცერტის პროგრამაში იყო: „ლისტის პრელუდიები", პაგანინის სავიოლინო კონცერტი და გამოჩენილი ესტონელი კომპოზიტორის ეუგენ კაპის რამდენიმე ნაწარმოები — „კონცერტინო" ორი როიალისათვის, სონატა ვიოლინოსათვის და სუიტა ბალეტიდან „კალეიპოეგი".

ორკესტრს დირიჟორობდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი.

ახალი ფერადი ფილმი „ჯუნგლები"

ამჟამად თბილისის ეკრანებზე უჩვენებენ საზღვარგარეთულ ფერად კინოფილმს „ჯუნგლებს", რომელიც გაკეთებულია რუდიარდ კიპლინგის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. ფილმი დადგმულია რეჟისორ ალექსანდრე კორდას მიერ. კინოსურათი „ჯუნგლები" ლიტერატურული პირველ წყაროს თავისუფალი და შემოკლებული გადმოცემაა. ფილმის სცენარის ავტორს ლაურენს სტელლინგს შეუმუშავებია მოქმედ პირთა რიცხვი და რამდენადმე განუმარტავებია კიპლინგის მიერ პერსონაჟთათვის მიცემული დახასიათებანი. სამაგიეროდ უფრო დიუზუსტებია და გაუმწვავებია სიუჟეტური სიტუაციები.

ფილმი დიდ ინტერესს იწვევს მაყურებელში.

ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის" მესამე წიგნი

როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, ალექსეი ტოლსტოიმ დაამთავრა თავისი რომანის „პეტრე პირველის" უკანასკნელი (მესამე) წიგნის სამი პირველი თავი. მწერალი მათში გვიჩვენებს 1704 წლის მოსკოვს, პეტერბურგის მშენებლობას, რუსული თეატრის ჩასახვას; გვიხატავს პეტრე პირველის, მისი დის ნატალიას, შვეციის მეფეების — კარლოსისა და ავგუსტის პორტრეტებს. ამჟამად მწერალი სწერს მეოთხე თავს, რომელშიდაც ნაჩვენები იქნება რუსი ჯარების მიერ ქ. ნარვის ალყაშემორტყმა და აღება. ავტორს განზრახული აქვს რომანი დამთავროს პოლტავის ბრძოლის აღწერით.

ამ რამდენიმე დღის წინათ ავტორმა თავისი რომანის ახალი თავები წაიკითხა მოსკოვის მწერალთა კლუბში. ტოლსტოის ახალმა ნაშრომმა დიდი ინტერესი აღძრა მწერლებში.

სპენდიაროვისადმი მიძღვნილი კონცერტი

29 მაისს საქართველოს ფილარმონიამ მოაწყო სიმფონიური კონცერტი, რომლის პროგრამაში უმთავრესად ა. სპენდიაროვის ნაწარმოები იყო მეტანილი. კონცერტი მეტ წილად ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით ჩატარდა. პირველად გამოვიდა, როგორც დირიჟორი მ. ბახტაძე, კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქ. დამსახურებულმა არტისტმა ტ. შარატა-დოლიძემ, ფოსკოველმა ახალგაზრდა პიანისტმა სვიატოსლავ რიხტერმა და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა ქალმა სვეტლანა მეგორსკაიამ.

ა. ხაჩატურიანის კონცერტები მოსკოვში

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში წარმატებით ჩატარდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ხაჩატურიანის კონცერტი. შესრულებულ იქნა ა. ხაჩატურიანის „პოემა სტალინზე" სიმფონიური ორკესტრისა და გუნდისათვის, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრისთვის და სიუტა ბალეტიდან „გაიანე". კონცერტს დირიჟორობდა ა. გაუკი.

დასავლეთის ახალი ხელოვნების მუზეუმის 25 წლისთავი

შესრულდა 25 წელიწადი, რაც მოსკოვში დაარსდა დასავლეთის ახალი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელსაც საფუძვლად დაედვა ს. შჩუკინის და ი. მოროზოვის მიერ შეგროვილი მხატვრული ნაწარმოებნი. ამ 25 წლის მანძილზე მუზეუმის კოლექციები დიდად შეივსო. ჩამოყალიბდა ახალი განყოფილება — თანამედროვე ამერიკული გრაფიკის განყოფილება.

„საკდესის ფანჯრის" მეათასე ნომერი.

ივნისის დამლევს შესრულდება სრული სამი წელი, რაც არსებობს და მუშაობს სამხედრო თავდაცვითი პლაკატის „საკდესის ფანჯრის" მოსკოვის სახელოსნო. ამ თარიღის აღსანიშნავად სახელოსნოს კოლექტივი ამზადებს „საკდესის ფანჯრის" მეათასე, საიუბილეო ნომერს, რომელსაც ხატავენ მხატვრები პ. სოკოლოვ სკალი და ნ. დენისოვსკი. პლაკატს ეწოდება „ჩვენი მეათასე ლახვარი". პლაკატის ეპიგრაფად აღებულია ვ. მაიაკოვსკის სიტყვები „მსურს, ხიბლს კალამი გაუთანაბრონ".

ტექტი ამ პლაკატისათვის დასწერა პოეტმა ვ. ლებედევ-კუმაჩმა.

მზადება ჩეხოვის იუბილესათვის

საიუბილეო კომიტეტი საქართველოში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ შეჰქმნა კომიტეტი დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

კომიტეტის შემადგენლობაში არიან: ვ. კუპრაძე (თავმჯდომარე), ლ. ქიაჩელი (თავმჯდომარის მოადგილე), ლ. ასათიანი (მდივანი), ს. ჩიქოვანი, ვ. ეგნატაშვილი, ს. ჯანაშია, ო. ეგაძე, შ. დადიანი, ს. დანელია, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი. შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, გ. ქიქოძე, დ. არაფიშვილი, ა. ვასაძე, ნ. ნაკაშიძე, გ. ჯიბლაძე.

კომიტეტს მიენდო ორი კვირის ვადაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს ღონისძიებათა გეგმა ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის ჩასატარებლად.

ა. პ. ჩეხოვის სამშობლო ქალაქ ტაგანროგში

ტაგანროგში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს მწერლის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავად. გამოყოფილია სანგანგები კომისია, რომელშიდაც შევიდნენ პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და ინტელიგენციის წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარედ — საკ. კ. პ. (ბ) ტაგანროგის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ზუბოვმა „პრავდის" კორესპონდენტს აცნობა:

„გერმანელ დამპყრობელთაგან გაწმენდილ ქალაქ ტაგანროგის მშრომელი მოსახლეობა ეგზიდება ღირსეულად აღნიშნოს თავისი დიდი თანამემამულის ხსოვნა. მიმდინარეობს აღდგენა იმ სახლ-მუზეუმისა, სადაც ჩეხოვი მოდელმანსკაიას ქალდაყენას მიენიჭა სტალინური პრემია. მანიზერის პროექტით ბრიჯალოსაგან გამოკვეთილ იქნება გმირი ქალის მთელი ფიგურა ამაყად თავაწეული, შაშხანით მხრებზე. ფიგურის სიმაღლე 3.5 მეტრია. მთლად მთელი ძეგლისა კვარცხლბეკით — 8 მეტრი.

თათრული ეპოსი „იდეგეი".

თათარმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ ისამეტმა შეიგროვა თათრული ეპოსი „იდეგეი", რომელიც გავრცელებულია ბაშკირთა, ყარაკალპაკთა, ყაზახთა და იმ თათრულ ტომთა შორის, რომლებიც ოდესღაც ოქროს ურდოში შედიოდნენ. ამ ეპიური პოემის თემაა — ხალხის ბრძოლა ხანების ტირანიის წინააღმდეგ. ეს ეპოსი, რომელიც 7 ათას სტრიქონს შეიცავს, ამჟამად რუსულ ენაზე ითარგმნება ამას წინად „იდეგეის" მთარგმნელმა პოეტმა ს. ლიპკინმა რუს და თათარ მწერლებს გააცნო თავისი ნამუშევარი. კამათში გამოსულმა თათარმა მწერლებმა ა. ფაიზმ, ა. ერიკეევმა, რ. ფეზიევმა აღნიშნეს თარგმნის სიახლოვე დედანთან, თათრული ხალხური პოეზიის თავისებურების სწორად გადმოცემა რუსულ თარგმანში.

ქართული ხალხური სიტყვა-თქმანი

თედო სახოკია

ქართული მეტყველების ცალკეული სიტყვები და თქმები ამა თუ იმ საგნის, ცნების, ამბის, ბუნების მოვლენის, სოციალურის თუ ოჯახური ურთიერთობის გამომხატველი, დროთა ვითარებაში, ბევრი დავიწყებული იქმნა და მათს მაგიერ სულ სხვა სიტყვა და სხვა თქმა წამოტივტივდა და ადგილი დაიჭირა უბნობასა თუ წერაში. ჯერ კიდევ ბევრი შეგვრჩა: ნაწილი შემონახულია ხალხის ზეპირსიტყვაობაში და ნაწილიც — ლიტერატურაში. ესენი არიან, აგრე ვთქვათ, ენობრივი არქეოლოგია ჩვენის წარსულის ცხოვრებისა.

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ სიტყვანი და თქმანი თავიანთ გაჩენისას და მოქალაქეობრივი უფლების მოპოვების ჟამს იხმარებოდნენ თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობით. შემდეგში-კი, ცხოვრების წინსვლასა, განვითარებასა და გართულებასთან ერთად, როცა გადავარდა ან სახე იცვალეს ამ სიტყვა-თქმათა გამჩენ გარემოებათ, ეს სიტყვები და თქმები გარეგნულად, პირდაპირის აზრით ხმარებულნი, ყოველსავე აზრსა და მნიშვნელობას ჰოკლებულად გადაიქცნენ. შერჩათ მხოლოდ აზრი და მნიშვნელობა გადატანითი, ხატოვანი, ფიგურალური. თუ თავდაპირველი მათი მნიშვნელობა არ გამოვიძიეთ, თუ მათის აღმოცენების პირდაპირი გარემოება და ისტორია არ გამოვიკვლიეთ, უმეტეს შემთხვევაში დიაღაც გაუგებარი და მიუწვდომელი იქნება ზათი გადატანითი მნიშვნელობა და მოსალოდნელია სულ მალე დაგვავიწყდეს და მეტყველებას სრულებითაც ჩამოეცალოს როგორც ხორცმეტი, მეტი ბარგი, ისევე, როგორც დაგვავიწყდა და ჩვენს ენას ჩამოეცალა არა ერთი და ორი მთი მსგავსი სიტყვა და თქმა.

განვიზრახეთ ასეთის სიტყვა-თქმების გაჩენისა და წარმოშობის ახსნა-განმარტებისათვის ხელგვეყო და აჰა, ათ წელიწადზე მეტი ხნის შრომამ მოგვცა ოქროსფერი, რომელიც შეიცავს 8 ათასამდე ცალკეულ სიტყვასა თუ თქმას; ლექსიკონი გადავეცით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას.

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქციამ შესაძლებლად დაინახა ამ ლექსიკონის რჩეულ და უფრო დამახასიათებელ ნიმუშებს ერთგვარი მოკრძალებული კუთხე დაუთმოს თავის ორგანოში, მეც სიხარულით შევუდექი ამ ორგანოში მოვათავსო თითო (როცა დიდია) ან რამდენიმე ერთად ამ სიტყვა-თქმათაგანი. იმედი მაქვს მკითხველს თავსაც მოსაბეზრებლად არ მივაჩნევინო წაკითხვა ამ ხატოვან თქმათა, რომელნიც ხოგჯერ თვალწინ შეტად საგულისხმიერო და საინტერესო გვერდებს გადაგვიშლიან ჩვენის წარსულისას, ჩვენს ისტორიულ მეზობლებთან ურთიერთობისა, ჩვენის ეთნოგრაფიისას.

ოარომ (თ) ტრიალი — პრდ*) ორომების იქით-აქეთ ხშირად მიტან-მოტანა გდტ. არეულობა ხალხისა, ჩოჩქოლი, აურზაური, უწესრიგობა, ყაყანი, შეხლა-შემოხლა, ხმაურობა, თავპირიხმტვრევა. შეად. „სიმშილაანთიდან მუდამ დღე ორომტრიალის, ტაშფანდურის და ჭიანურის ხმა ისმის". (ვაჟა-ფშაველა 5 ტ. 44)

როცა ქოროწილა თუ ქელეხში ან კიდევ დღეობაში სადმე შეკრებილი ხალხი უწესრიგოდ ირეკა, იქით-აქეთ ეწყვეტება, ერთმანეთს ეხლება; როცა ატეხილია საშინელი ჩოჩქოლი, აურზაური [illegible] უწოდებიათ [illegible] ორომ[illegible] ორომების). იქით-აქეთ ჩეხლებრივ ხშირად და [illegible] ... ორომ[illegible] ... ორომ[illegible] ... ორომ[